# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№148 (9979) 2025 წლის 5 ნოემბერი, ოთხშაბათი


## გამო...უსწორებელი

„მთავარსარდალო“ სალომე! ასწავლეთ ევროპას, რა და როგორ „გათხაროს“, რომ ქართველების გული მოიგოს!



## ევროპის სასაცილო შეგონებანი

ევროკომისიამ ევროკავშირის გაფართოების შესახებ უსუსური ანგარიში გამოაქვეყნა

იხ. 2 გვ.



## ირაკლი კობახიძე ჩინეთის პრემიერს ლი ციანს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერს ლი ციანს შეხვდა.**

მთავრობის მეთაურმა **ლი ციანს** ჩინეთის იმპორტის საერთაშორისო გამოფენის გახსნის ცერემონიაზე მიწვევისთვის მადლობა გადაუხადა და ხაზი გაუსვა საქართველოსა და ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობისა და ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პოზიტიურ დინამიკას. აღინიშნა ნაყოფიერი თანამშრომლობა სავაჭრო-ეკონომიკურ, ტურიზმისა და ტექნოლოგიების სფეროებში. მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს სარტყელისა და გზის ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობასა და შუა დერეფნის განვითარების მნიშვნელობაზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო იმპორტის გამოფენაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობას და სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მზადყოფნა გამოთქვა.

პრემიერ-მინისტრების შეხვედრის შემდეგ საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა. დოკუმენტებს კოლეგებთან ერთად ხელი მოაწერეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **მარიამ ქვრივიშვილმა**, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **დავით სონღულაშვილმა** და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა **ელჩმა პაატა კალანდაძემ**.

## საქართველოს არ უნდა ეშინოდეს დიდი კაპიტალის, მაგრამ აუცილებელია ინსტიტუციური გარანტიები, კონტროლის სისტემა...



იხ. 3 გვ.

## ნუ გეშინიათ, კოშმაროფილებო!



იხ. 9 გვ.

## სტალინი – გენიალური „დიქტატორი“

ისტორია, რომელიც არ მთავრდება

## პუტინი ახალ ბირთვულ იარაღს აჟღარუნებს!



იხ. 8 გვ.

მუქარა თუ... ბაქიბუქი?!



იხ. 4 გვ.

## „ივანიშვილთან ახლობლობა ინდულგენცია ვერ იქნება!“



## ვაჟა დანელია 11 გიორგობისთვე სულიერად გაგვიმდიდრა

# გამო... უსწორებელი ევროპის სასაცილო შეგონებანი

„მთავარსარდალო“ სალომე! ასწავლეთ ევროპას, რა და როგორ „გათხაროს“, რომ ქართველების გული მოიგოს!



## ევროკომისიამ ევროკავშირის გაფართოების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა

**ევროკომისიამ ევროკავშირის გაფართოების შესახებ ანგარიში გუშინ გამოაქვეყნა, სადაც სხვა კანდიდატ ქვეყნებთან ერთად, საქართველოზეც არის საუბარი.**

ამასთან, ევროკომისიამ ანგარიშთან ერთად გამოაქვეყნა პრესრელიზი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერდა და ევროკომისია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეცვალოს პოლიტიკური კურსი, დაბრუნდეს ევროკავშირში გაწევრების გზაზე.

**„2024 წელს ევროპის საბჭომ დაასკვნა, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერდა. მას შემდეგ სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა, დემოკრატიის სერიოზული უკუსვლა გამოიხატა კანონის უზენაესობის სწრაფი ეროზიითა და ფუნდამენტური უფლებების მკაცრი შეზღუდვებით. ეს მოიცავს კანონმდებლობას, რომელიც მკვეთრად ზღუდავს სამოქალაქო სივრცეს, ძირს უთხრის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას და არღვევს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს. საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა შეცვალოს დემოკრატიული უკუსვლა და განახორციელოს ყოვლისმომცველი, ხელშესახები ძალისხმევა გადაუჭრელი პრობლემების მოსაგვარებლად და ძირითადი რეფორმების განსახორციელებლად, რომლებიც მხარდაჭერილია პარტიებს შორის თანამშრომლობითა და სამოქალაქო ჩართულობით, ევროკავშირის ღირებულებების შესაბამისად. 2024 წლის დეკემბრის ევროპული საბჭოს დასკვნების შემდეგ და საქართველოს უკუსვლის გათვალისწინებით, კომისია საქართველოს მხოლოდ სახელწოდებით კანდიდატ ქვეყნად მიიჩნევს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოავლინოს მტკიცე ერთგულება კურსის შეცვლისა და ევროკავშირში გაწევრების გზაზე დაბრუნების მიმართ“...**

ამასთან, გამოქვეყნებულ პრესრელიზში შეფასებულია ზოგადად ევროკავშირის გაფართოების პროცესი.

**„დღეს ევროკომისიამ მიიღო ყოველწლიური გაფართოების პაკეტი, რომელშიც წარმოდგენილია გაფართოების პარტნიორების მიერ ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში მიღწეული პროგრესის ყოვლისმომცველი შეფასება. წლევანდელი პაკეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გაფართოების იმპულსი ევროკავშირის პრიორიტეტულ დღის წესრიგში მაღალია. ის ასევე ადასტურებს, რომ ახალი წევრი სახელმწიფოების გაწევრიანება სულ უფრო და უფრო ახლოსაა“.**

ევროკომისიის შეფასებით, **ეს წინსვლა სარგებელს მოუტანს, როგორც წევრობის მსურველ სახელმწიფოებს, ასევე ევროკავშირის ამჟამინდელ წევრებს, რაც ხელს უწყობს კეთილდღეობას, დემოკრატიას, უსაფრთხოებას და სტაბილურობას, ამავდროულად, ქმნის ახალ შესაძლებლობებს მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის, როგორიცაა სტრატეგიული ინვესტიციები და ერთიანი ბაზრის გახსნა.**

# გიორგი გაბუნია: ევრონესტში თავისთვის ლაპარაკობენ...



## უმჯობესია, საკუთარ ქვეყნებს მიხედონ!

**ევრონესტის მხრიდან უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლს ვხედავთ. დგანან და თავისთვის ლაპარაკობენ საქართველოსთან დაკავშირებით. ამ ღონისძიებაში მონაწილეობას არ იღებდა არც საქართველო, არც სომხეთი და არც აზერბაიჯანი, თუმცა ამ ქვეყნებზე საუბრობენ,** – ამის შესახებ პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი გაბუნიამ** განაცხადა.

**„როგორ შეიძლება, ეს შეკრება შედეგიანი ან რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელი იყოს? უმჯობესია, საკუთარ ქვეყნებს მიხედონ. საქართველოში დემოკრატია არის და ვითარდება. კანონის დარღვევაზე სამართალდამცველებს რეაგირება აქვთ, საქართველომ შეინარჩუნა სასამართლოს დამოუკიდებლობა. გარე ძალებისთვის ეს დემოკრატიული უკუსვლაა. მათ პოზიციებს ვერ მივიღებთ. ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა, მშვიდობა და განვითარება სჭირდება“,** – განაცხადა **გიორგი გაბუნიამ.**

ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეამ 31 ოქტომბერს რეზოლუცია გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოზეც არის საუბარი. როგორც რეზოლუციაშია აღნიშნული, ბოლო დროს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა დემოკრატიის უკუსვლა აჩვენა.

**ცნობისთვის, „ქართულმა ოცნებამ“ ერევანში, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობაზე უარი თქვა. საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან მახაშვილმა აღნიშნულთან დაკავშირებით ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეას ღია წერილით მიმართა, სადაც განმარტებული იყო, რატომ შეიკავა თავი საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ ერევანში, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის მე-12 პლენარულ სესიაში მონაწილეობისგან. როგორც მახაშვილმა განმარტა, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ბოლოდროინდელი ქმედებები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ასამბლეის დამფუძნებელი აქტისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პრაღის სამიტის ერთობლივი დეკლარაციის ფუნდამენტურ პრინციპებსა და მიზნებთან შეუსაბამობის გამო. ამასთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა: ევრონესტის სესია ტარდება სამხრეთ კავკასიის რეგიონში და არ მონაწილეობენ საქართველო და აზერბაიჯანი, ეს აჩვენებს, რომ ევროპარლამენტის ქცევაში რაღაც არასწორია“. მისივე თქმით, „სინამდვილეში, „ენჯეოშნიკების“ საფარქვეშ ჰყავთ მიწვეული „ნაციონალური მოძრაობის“, „ლელოს“, „ევროპული საქართველოს“, „დროას“ პარტიის წევრები“...**

# ანტინარკოტიკული გარემო — „მე მომავალში“!



## გეკა გელაძემ ანტი-ნარკოტიკული პროექტი „მე მომავალში“ სასკოლო საზოგადოებას წარუდგინა

**შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, სკოლებში იწყება ანტინარკოტიკული კამპანია „მე მომავალში“, რომლის მიზანია მოზარდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა გეკა გელაძემ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრ გივი მიქანაძესთან ერთად, ანტინარკოტიკული ახალი კამპანიის პროექტი სასკოლო საზოგადოებას წარუდგინა. მინისტრმა ყურადღება გაამახვილა პროექტის მნიშვნელობაზე და განაცხადა, რომ მომავალი თაობისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

კამპანიის პირველ ეტაპზე, წლის ბოლომდე, საქართველოს მასშტაბით 60 საჯარო სკოლაში, მართლწესრიგის ოფიცრები და მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და ტრენერ-მანდატურები, მე-6, მე-9 კლასის მოსწავლეებთან, ერთობლივად გამართავენ საინფორმაციო შეხვედრებს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მავნე ზეგავლენის, მისი მოხმარების პრევენციისა და მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისების შესახებ. საინფორმაციო შეხვედრების გარდა, დაგეგმილია კომიქსების კონკურსის, სპორტული ღონისძიებებისა და სხვა შემეცნებითი აქტივობების ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ სკოლებში ანტინარკოტიკული კამპანიის წარმართვის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა მოამზადეს მოსწავლეებთან შეხვედრის განახლებული მოდული, კოორდინირებულად იმუშავეს პრაქტიკული კომპონენტის ნაწილზე და ჩაატარეს სიმულაციური შეხვედრები.

პირველ ეტაპზე შეხვედრები – თბილისში, აჭარასა და ქვემო ქართლში გაიმართება. კამპანიის მხარდამჭერია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო.







# ნუ გეშინიათ, კოშმაროფილებო!

## საქართველოს არ უნდა ეშინოდეს დიდი კაპიტალის, მაგრამ აუცილებელია ინსტიტუციური გარანტიები, კონტროლის სისტემა...

**არ ამცდება მორიგ საზოგადოებრივ მღელვარებაზე ჩემი მოკრძალებული, არასაექსპერტო მოსაზრების გაზიარება (ვისაც საექსპერტო აინტერესებს – გაეცანით ირაკლი გოგავას ვრცელ პოსტს აღნიშნულ თემაზე). საუბარია 6.5 მილიარდი დოლარის ინვესტიციაზე, რომელიც მოიცავს პროექტებს Tbilisi Waterfront და Gonio Yachts & Marina. გასაგებია, რომ ეს თემა გახდა ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი ქვეყანაში. ინვესტიციის მასშტაბი უპრეცედენტოა, თუმცა საზოგადოებრივი რეაქცია, ტიპური და მოსალოდნელი – ფრთხილი ოპტიმიზმიდან, ღია პანიკამდე.**

მე არასდროს არ ვიზიარებ „შიშების გამყიდველების“ და „კოშმაროფილების“ უკიდურეს ფობიებს, რომლის უკან ორი ძირითადი მოსაზრება იკითხება: 1) ღმერთმა მიგვატოვა (ღმერთი გვსჯის) და 2) ეს ხელისუფლება – ერის მოღალატეა! მეტსაც გეტყვით – **ამ ორივე პოზიციის პოპულარიზაციის უკან, ამაში დაინტერესებული ძალების მიერ დაფინანსებას ვხედავ (რა თქმა უნდა, პოლიტიკური მიზნით). ჩვენ კი მიკერძოების თუ პირადი ფინანსური ინტერესის გარეშე გავარჩიოთ რისკები და მათი დაზღვევის გზები.**

მაშ, ასე:

მიწის უცხოელებზე გასხვისება; ე.წ.„არაბული დასახლებების“ გაჩენა; დემოგრაფიული და რელიგიური ბალანსის შეცვლა; მუსლიმთა საკულტო ობიექტების მშენებლობა; სამშენებლო სამუშაოებზე უცხოელი მუშახელის დაქირავება, ნაცვლად ადგილობრივებისა და ა.შ.

**მესმის, რომ ეს შიშები ჰაერიდან არ გაჩენილა. საქართველო ისტორიულად ძალიან მგრძნობიარეა მიწის, იდენტობის, ენის, რელიგიისა და კულტურული გარემოს საკითხების მიმართ. იმდენად მგრძნობიარეა, რომ გარშემო ვითარებაში ყველგან ხედავს საფრთხეს, გარდა, ათობითათასობით ყოველწლიურ აბორტში, ათობითათასობით განქორწინებაში, მრევლისგან თითქმის დაცლილი ტაძრებისა და სახარების მიღმა ყოველდღიურობაში. დამატებით, ნებისმიერი მსხვილი გარე პროექტიც, ავტომატურად აღიქმება, როგორც საფრთხე. აქ კი არსებითი კითხვა იმაში კი არ უნდა იყოს, ვის შემოაქვს კაპიტალი, არამედ რა წესებით იმუშავებს ეს კაპიტალი საქართველოში.**

იმისთვის, რომ შემცირდეს საზოგადოებრივი ფობიების გრადუსი (ტემპერატურა) და ამაზე პოლიტიკური ქულების მოპოვების მაძიებელთა ენერგია, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა პირდაპირი, საჯაროდ გამოსამზეურებელი გარანტიები.

არა მიწის გაყიდვა, არამედ გრძელვადიანი იჯარა ან თანაინვესტირება. უნდა გამოქვეყნდეს კადასტრული რუკები და საკუთრების სტატუსები, რათა გამორიცხული იყოს სანაპიროსა და სტრატეგიული ზოლების პრივატიზაცია.

აიკრძალოს დახურული ანკლავების (ე.წ. „არაბული სოფლების“) გაჩენა. პროექტებმა უნდა უზრუნველყონ საჯარო წვდომა სანაპიროებზე, პარკებში, ბულვარებზე. ეს უნდა იყოს ამ დასახლებების დაგეგმვის პრინციპული ჭრილი.

მიგრაციის პოლიტიკა აბსოლუტურად გამჭვირვალე უნდა იყოს. სამუშაო ვიზები – მხოლოდ დროებით, კონტრაქტზე მიბმით. ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, სავალდებულო პრიორიტეტით და კონტრაქტების პირობებით გამაგრებული.

პროექტის მონიტორინგისა და ანგარიშგების საჯარო სისტემა, უნდა იყოს ასევე გამჭვირვალე. საჯარო უნდა იყოს კვარტალური მონაცემები – დასაქმებულთა რაოდენობა და სტატუსი; ადგილობრივი და უცხოური კონტრაქტორების პროპორცია; ეკოლოგიური მაჩვენებლები; არქიტექტურული შეზღუდვების დაცვა.

ამავდროულად, უნდა გვესმოდეს ქვეყნისთვის აღნიშნული ინვესტიციით მოპოვებული ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული სარგებელი (კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ გაეცნოთ ექსპერტების და არა შარლატანების მოსაზრებებს). თუ ზემოაღნიშნული წესები რეალურად განხორციელდება, პროექტი შეიძლება გახდეს სტრატეგიული სარგებლის წყარო:

დასაქმების კუთხით, მშენებლობის პერიოდში, ათობითათასი სამუშაო ადგილი; შემდგომში – ტურისტული, მომსახურების სექტორის გრძელვადიანი სტაბილური სამუშაო ადგილები; ვალუტის ბალანსის გაძლიერება; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ამცირებს ზეწოლას ლარზე და ზრდის ეკონომიკური ციკლების სტაბილურობას; ტურისტული ხარისხის ზრდა; „იახტ-მარინები“, ახალი სანაპირო ზოლები და ახალი სასტუმრო-ინფრასტრუქტურა გადაიყვანს ტურიზმს დაბალბიუჯეტიანი სეზონური მოდელიდან მაღალშემოსავლიან, წლიურ ფორმატში; ასევე რეპუტაციული ეფექტი – არაბული დეველოპერული კაპიტალი ხშირად ასოცირდება მაღალი კლასის ინჟინერიასთან და შეიძლება მოიზიდოს სხვა მსხვილი ინვესტორებიც.

გასაგებია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი პანიკას გამოხატავს არა ინვესტიციების წინააღმდეგ, არამედ მათზე პოტენციური სახელისუფლებო კონტროლის დაკარგვის შიშის გამო. სახელმწიფოს ვალდებულებაა აჩვენოს, რომ კონტროლი არსებობს და რომ ქვეყნის ინტერესები დაცულია იურიდიულად, და არა მხოლოდ განცხადებებით.

**თუ წესები იქნება მკაფიო, საჯარო და აღსრულებადი, პროექტი გახდება ეკონომიკური ზრდის და ქალაქის განვითარების წყარო. თუ არა, ის გადაიქცევა გრძელვადიანი სოციალური კონფლიქტის ტრიგერად.**

**საქართველოს არ უნდა ეშინოდეს დიდი კაპიტალის, მაგრამ აუცილებელია ინსტიტუციური გარანტიების, გამჭვირვალობის და საზოგადოების მონაწილეობაზე დაფუძნებული კონტროლის სისტემა.**

**დავით ქართველიშვილი.**







# რიგგარეშე სიკვდილის მოლოდინში

**ადგილობრივ „შიგევროკულობაზე“ იძულებითმა დაკვირვებამ უკანასკნელ 300-მერამდენე დღეს, დროებით დაგვაშორა სანაქებო და სანიმუშო თანამედროვე დასავლეთში ახალ პროგრესულ ინოვაციებს. მართალია, ეს მოდერნიზებული „დემოკრატიის“ სახეცვლილებები არა სიცოცხლის, არამედ სიკვდილის გაუმჯობესების თემას ეხება, მაგრამ ხვალ ბრიუსელმა ამის ჩანაცვლებით რომ მოგვთხოვოს „არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის“ კანონმდებლობა, მზად ხომ უნდა ვიყოთ? მაშ, ასე: კანადის მთავრობამ „სიკვდილის დროს სამედიცინო დახმარების გაწევის“ პროგრამის ფარგლებში უკვე წარმატებით მოკლა და ევთანაზია გაუკეთა თავის 90 000 მოქალაქეს.**

**„ევთანაზიის პრევენციის კოალიციის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ალექს შადენბერგმა გააზიარა ჩვენთვის ამ საშინელებათა, მაგრამ მათთვის სიამაყის მატარებელი ეს მონაცემები და 2025 წლის პროგნოზებიც გააჟღერა ონტარიოს, კვებეკის, ალბერტას და ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციებში MAID [სიკვდილის დროს სამედიცინო დახმარების] პროგრამის ფარგლებში ევთანაზიის შესახებ: 2024 წელს კანადაში ევთანაზიის დაახლოებით 16 500 შემთხვევა აღირიცხა, რაც მთლიანი სიკვდილიანობის თითქმის 5%-ს შეადგენს.**

**მას შემდეგ კი, რაც კანადაში ევთანაზია ლეგალიზდა, როგორც მოგახსენეთ, უკვე დაახლოებით 90 000 შემთხვევა დადასტურდა. ამ „ეროვნული პროცესების“ მაკონტროლებელმა ორგანომ აღნიშნა ევთანაზიასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის 7.5%-იანი ზრდა ოთხ ჩამოთვლილ პროვინციაში 2023-დან 2024 წლამდე.**

**ევთანაზია ამჟამად კანადაში სიკვდილიანობის გამომწვევ მიზეზებში მეექვსე, საპატიო ადგილზეა.**

**ასე მაგალითად, ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ვანკუვერის კუნძულზე, ევთანაზიასთან დაკავშირებული გარდაცვალების 904 შემთხვევა დადასტურდა, რაც რეგიონში აღრიცხული სიკვდილიანობის მთლიანი რაოდენობის 30%-ზე მეტს შეადგენს.**

იხ. 5 გვ.

# „ბიძინა ივანიშვილთან ახლობლობა ინდულგენცია ვერ იქნება!“





**ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე for.ge-სთან ინტერვიუში ხელისუფლების მიერ ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების ტალღას აფასებს, რომელსაც უკვე მოჰყვა ბრალის წაყენება, მათ შორის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისთვის და მისი გარემოცვის წევრების მიმართ. მამრაძის აზრით, ეს ნაბიჯები კორუფციასთან ბრძოლის ახალ, რადიკალურ ეტაპზე გადასვლაზე მიუთითებს, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებლობით არის განპირობებული. თუმცა, აღნიშნავს, რომ ასეთი სენსიტიური საქმეები, მმართველი გუნდის შიგნით არსებული გავლენების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ რისკებს შეიცავს და მეტ მტკიცებულებას მოითხოვს.**

**ანალიტიკოსი ასევე ეხმაურება დასავლეთიდან მომდინარე კრიტიკას ოპოზიციური პარტიების აკრძალვის საკითხზე და ევროკავშირის გაფართოების ანგარიშის მოლოდინს, სადაც ნაკლებად ელოდება ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას, მიუხედავად გამწვავებული ურთიერთობებისა.**

**— ბოლო დღეების განმავლობაში ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება და მათთვის ბრალის წაყენება გრძელდება. დიდი ალბათობით, ირაკლი ღარიბაშვილის შემდეგს სუს-ის ყოფილი უფროსი გრიგოლ ლილუაშვილია სამიზნე. როგორ აფასებთ ხელისუფლების ამ ნაბიჯებს? რამდენად სარისკოა ახლა მმართველი გუნდისთვის ასეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელსაც ოპოზიცია უკვე იყენებს და რა არის ხელისუფლების ქმედების მთავარი მოტივაცია?**

— ხელისუფლების მოქმედების მთავარი მოტივაცია არის ის, რომ როცა დღეს სახელმწიფო ინსტიტუტები მომძლავრდა, ხოლო დღის წესრიგში ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დადგა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების შიგნით ლიდერებს, რომლებსაც გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე მოსახლეობას, მათ ესმით, რომ კორუფციის მინიმალიზაციისა და მისი დაძლევის გარეშე, არაფერი არ გამოვა. ჩვენ ვიცით, რომ კორუფცია ჩვენზე ათჯერ და მეტად განვითარებულ ქვეყნებშიც არის, მათ შორის, ევროპულ ქვეყნებში და ამის არა ერთი ფაქტი ვიცით უკვე.

თუმცა, შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის, რათა შიდა ეკონომიკის ზრდა გაგრძელდეს, განსაკუთრებით მოსახლეობის ყველა სფეროს შეეხოს, კორუფცია უნდა აღმოიფხვრას. ამის დრო დადგა და ხელისუფლებაც შესაბამისად მოქმედებს. რა თქმა უნდა, ხელისუფლებისთვის ასეთი გადაწყვეტილებები ყოველთვის რისკ-ფაქტორს შეიცავს. თუმცა, როცა სახელმწიფო ინსტიტუტები ისეთი მყარი არ არის, როგორც ეს მასშტაბურ კორუფციასთან ბრძოლას შეესაბამება, მართლაც არსებობს იმის რისკი, რომ კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა, რომლებმაც ეს თანხები დააგროვეს, ხელისუფლების ძალაუფლების შესაცვლელადაც კი გამოიყენონ.

ასეთი ამბები მსოფლიოში არა ერთი მომხდარა. თუმცა, როცა ხელისუფლების ლიდერები აფასებენ იმას, რომ დადგა კორუფციასთან ბრძოლის დრო და ხელისუფლება უკვე იმდენად არის გაძლიერებული, რომ ამ რისკების არ ეშინია, რა თქმა უნდა, მოქმედებაზე გადავიდნენ. როგორც ჩვენამდე, მოსახლეობამდე მოდიოდა ინფორმაცია, რომ არსებობდა ასეთი კორუფციული სქემები, რა თქმა უნდა, ხელისუფლებასაც ჰქონდა ეს ინფორმაცია.

**— როგორ ფიქრობთ, რა პროცესს გამოიწვევს ეს დაკავებები, თავად გუნდის შიგნით და ხელისუფლების მხარდამჭერებში? ყოფილ პრემიერს ირაკლი ღარიბაშვილს, თავისი წარსულიდან გამომდინარე, გუნდის შიგნითაც და მის გარეთაც ჰყავს მხარდამჭერები. ასევე ლილუაშვილი, რომელსაც საკმაოდ დიდი გავლენები აქვს სახელისუფლებო პარტიაში. როგორ ფიქრობთ, ამისთვის ხელისუფლებას სჭირდება, თუნდაც ლილუაშვილამდე მისასვლელად, მეტი მტკიცებულებები, რათა მხარდამჭერებში ეს კითხვები მინიმალური გახდეს და არ იყოს პროცესი კიდევ უფრო მტკივნეული სახელისუფლებო გუნდისთვის?**



— რა თქმა უნდა, ამას სჭირდება დრო და მეტი მტკიცებულებები, როგორც თქვენ აღნიშნეთ, თუნდაც რისკ-ფაქტორების შესამცირებლად. როცა საქმე ყოფილ პრემიერს და ყოფილ სხვა მაღალი თანამდებობის პირებს ეხებათ, რა თქმა უნდა, თემა ძალიან სენსიტიურია. მით უმეტეს, როცა საქმე ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსნებს ეხებათ. მე გახლდით საქართველოში, პარლამენტში, პირველი ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარე. პრობლემა დიდია და როგორც წესი, ელიტარული კორუფცია საერთოდ არ ტოვებს საბუთებს. თავად ეს ადამიანები ხელს არაფერზე აწერენ. ვერ მოიპოვებთ ქაღალდს, რომ მასზე ხელმოწერა, ან სხვა რამ იყოს, ეს ერთი, მეორე — ურთულესი რამ არის მოწმის პოვნა, ადამიანის, რომელმაც ეს იცოდა და ამაზე საუბარს დასთანხმდა. როგორც წესი, მოწმეები თავადაც ჩართულები არიან ამ სქემებში, ამა თუ იმ ფორმით.

მით უმეტეს, როცა კორუფცია თანამდებობის უმაღლესი პირებიდან მოდიოდა. ჩვენ ვიცით ევროპაშიც ასეთი ხმაურიანი დაკავებები და შემდეგ გაუშვეს, რადგან მტკიცებულებების მოპოვება რთული გამხდარა. არ ჰყოფნიდათ პირდაპირი მტკიცებულება და ყველამ იცის, რომ კორუფციაში იყო ჩართული, მაგრამ ამის საბუთი არ არსებობს. დაახლოებით, 20 ადგილას სინქრონულად, როცა სამართალდამცველები ჩხრეკისთვის ბინებში შევიდნენ, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ რა თქმა უნდა, ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია და არ გამოვრიცხოთ, რომ რაღაც მტკიცებულებები იპოვეს.

ეს ნიშნავს, ასევე იმას, რომ ვერავინ, ვერავის გაფრთხილებას ვეღარ მოასწრებდა და ვერც რამე სახის მტკიცებულებების გადამალვას შეძლებდნენ. სახეზეა ასევე შედეგი, რადგან იმდენი თანხა და ძვირფასეულობაა ამოღებული, რომლის დეკლარირებაც, ფაქტია, არ მომხდარა, ხოლო არადეკლარირებული ამდენი თანხის შენახვა მაღალჩინოსნების მხრიდან, რა თქმა უნდა, გამოძიების საგანი ხდება. აი შედეგიც, ითანამშრომლეს გამოძიებასთან, დაწყებული ირაკლი ღარიბაშვილით და სხვა დაკავებული მაღალჩინოსნებით.

**— რა სახის გზავნილია ხელისუფლების მხრიდან, როგორც გუნდის წევრებისთვის, რომლებიც ამჟამად მაღალ თანამდებობებს იკავებენ, ასევე საზოგადოებისთვის? რის შეტყობინებას ცდილობს მმართველი გუნდი და ეს ქმედებები რა სახის პოლიტიკურ დივიდენდს სძენს თავად მმართველ გუნდს?**

— რა თქმა უნდა, ეს არის შეტყობინება, რომ ხელისუფლებამ, კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, პოლიტიკა რადიკალურად შეცვალა და არ აპირებს საკუთარი გარემოცვის დანდობასაც კი. ფაქტია, ოპოზიცია ამას ცდილობს საკუთარი ინტერესებისამებრ გამოიყენოს და ამას კლანური, შიდა ბრძოლა დაარქვას. ძირითადად, მე რასაც ვხედავ, მოსახლეობაში მკვიდრდება ის აზრი, რომ კორუფციასთან ბრძოლა სრულიად ახალ დონეზე მკვიდრდება. არავინ არ არის გარანტირებული იმუნიტეტის მქონე, რომ მას თითქოს არ შეეხებოდა. ბიძინა ივანიშვილთან დაახლოება და მის ახლობლად ყოფნა, ვერ იქნება ვერავის ინდულგენცია, როცა სახელმწიფოსა და ხალხს ფულს ჰპარავენ.

**— აუცილებლად მინდა, შევეხოთ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ სარჩელს, ერთმანეთის მიყოლებით, დასავლეთიდან უკვე გაისმა მოწოდებები, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება, აკრძალოს სამი პარტია, არადემოკრატიულია და ეწინააღმდეგება ევროპულ, ცივილიზებულ სტანდარტებს. ასევე, ოპოზიციის მხრიდან გაისმა მოწოდება ამ შანსის გამოყენების შესახებ და რაღაც ერთიანი ძალის ჩამოყალიბებაზე. როგორ ფიქროზთ, შეძლებს ოპოზიცია ახალი საპროტესტო ტალღის აგორებას ამ თემის გარშემო და დაძაბავს თუ არა კიდევ უფრო საქართველოს ხელისუფლების ურთიერთობას დასავლეთთან?**

— დასავლეთთან ურთიერთობის გამწვავების კუთხით, უკვე აღარ ვიცი, სადამდე შეიძლება მივიდეს სიტუაცია, რადგან ისედაც გამწვავებულია მდგომარეობა. თუმცა, მათი მხრიდან წამოსული განცხადებები ერთ მნიშვნელოვან რამეს ცხადჰყოფს, როგორი ორმაგი სტანდარტები გააჩნიათ დასავლეთში. პარტიები აკრძალულა უკრაინაშიც, მოლდოვაშიც, არაერთ ევროპულ ქვეყანაში. თუმცა, მაშინ ხმას არ იღებდნენ, ან იტყვიან, რომ ის პრორუსული ძალა იყო. იქამდე მივიდნენ, რომ როდესაც აქ ანტიეროვნული ძალები სჩადიოდნენ ისეთ დანაშაულებს, რომლის შედეგადაც ციხე არ ასცდებოდათ, დასავლეთიდან იწყებენ ყვირილს, რომ აი, კიდევ ერთი, მორიგი, ვითომ პოლიტპატიმარი იყოს.

არა, ზუსტად იციან, რომ ეს ადამიანები მიზანმიმართულად წავიდნენ ციხეში — **ელენე ხოშტარია** და **ნიკა გვარამია**, **ნიკა მელია** და სხვა დანარჩენები. ამიტომ, მე არ ველი, რომ თუნდაც ქვეყნის შიგნით ოპოზიციამ, მით უმეტეს, „ნაციონალებმა“ და „ახალმა“, რამე მუხტის აწევა სცადონ. პირიქით, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მათი პოლიტიკიდან წასვლა სასურველი და მისასალმებელიც არის. **მიხეილ სააკაშვილის** ციხეში დაკავების გამო, არავინ გამოვიდა ციხეში და მისი მარიონეტების გამო, მით უმეტეს, არავინ გამოვა.

**— გავრცელებული ინფორმაციით, 4 ნოემბერს, გამოქვეყნდება საქართველოსთან დაკავშირებული ანგარიში, რომელიც, როგორც ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ განაცხადა, იქნება გრძელი და არსებითი დოკუმენტი. ანგარიში დეტალურად აღწერს, რა ცვლილებები მოხდა ქვეყანაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში და როგორ აისახა ეს საქართველოს ევროკავშირის წევრობაზე სწრაფვაზე. რა მოლოდინი გაქვთ? ვიზალიბერალიზაციის შეჩერებისა და სანქციების საკითხი დადგება თუ არა დღის წესრიგში?**

— ნაკლებად ველი, რომ მოსახლეობისთვის ვიზალიბერალიზაციის გაუქმებაზე იმსჯელონ. შემთხვევითი არ არის, რომ **თინა ბოკუჩავა** და სხვა პოლიტიკური ლიდერები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ აი, ჩვენ პირიქით, ვარწმუნებთ ჩვენს პარტნიორებს, რომ ვითომ არ გაუუქმოთ საქართველოს მოსახლეობას უვიზო მიმოსვლა. ამას იმიტომ საუბრობენ, რომ ჯერ ერთი, იციან, არ არის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის თანხვედრა, რომ ჩვენს მოსახლეობას უვიზო მიმოსვლა გაუუქმონ. უნდათ, ჩაეთვალოთ, ვითომ, მათი დამსახურებაა, რომ აი, ქართველი ხალხი არ დაისაჯა. ამიტომ, განცხადებები, რა თქმა უნდა, მოსალოდნელია და ასე შემდეგ, იქნება მწვავე განცხადებებიც, მაგრამ ნაკლებად ველი, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხს შეეხებიან და მისი გაუქმება დღის წესრიგში დადგება.

ესაუბრა
**ლიკა ბერიკაშვილი**

საქართველოს რესპუბლიკა

ანტიკორუფციული ღონისძიების შედეგად, „ქართული ოცნების“ ყოფილი მაღალჩინოსნებისგან, დაახლოებით, 20 მილიონი ლარია ამოღებული. თუმცა, როგორც for.ge-ს ხელისუფლების კულუარებში უთხრეს, ეს მხოლოდ დასაწყისია და ამოსაღები მილიონები ჯერ კიდევ ბევრია. არსებული ინფორმაციით, სუსი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის წევრების საქმიანობას დეტალურად სწავლობს და როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, კორუფციის წარმოუდგენელი მასშტაბები გამოკვეთა ჯანდაცვის სამინისტროში.

ამავე წყაროს ინფორმაციით, გამოკვეთილია ზურაბ აზარაშვილის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი და ამ ნაწილში გამოძიებას კითხვები ექნება, როგორც ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, ასევე პატიმრობაში მყოფ თავდაცვის მინისტრთან. არსებული ინფორმაციით, უახლოეს დღეებში, გამოძიება ბრალს წაუყენებს ინფრასტრუქტურის ყოფილ მინისტრს ირაკლი ქარსელაძეს, რომელსაც პასპორტი უკვე ჩამოართვეს და ქალაქიდან გასვლაც აუკრძალეს. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ქარსელაძე, ისევე, როგორც აზარაშვილი, პრაქტიკულად, შინაპატიმრობაშია. სუს-ის ანტიკორუფციული სწავლობს ლევან დავითაშვილის მინისტრობის პერიოდს. წინ ძალიან საინტერესო და სკანდალური პროცესებია.



# ირაკლი გოგავა: აღმასრულებელი ხელისუფლება დაჭაობდა

## მილიონები — ნდობის სანაცვლოდ!

**რაც შეეხება კორუმპირებული მაღალჩინოსნებისგან ამოღებული მილიონების ნაწილს, რადგან ბიუჯეტიდან მოპარული მილიონების შესწავლა გრძელდება, ეს თანხები მიექცევა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში და აუნაზღაურდება ის დანაკლისი, რომელიც მიიღო კონკრეტული კორუფციული ფაქტებიდან გამომდინარე.**

დეტალებზე არ საუბრობს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, თუმცა ამბობს, რომ როგორც ჩანს, კონკრეტულმა ადამიანებმა საკუთარი სარგებლის მიღება გადაწყვიტეს. მისი თქმით, ვიღაცებმა რომ რაღაცები ვიცოდით, ამიტომ გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა განცხადება და მინიშნებები 2023 წლის დეკემბერში, თუმცა, როგორც პრემიერმა თქვა, გადამჭრელი ზომების მიღებას დრო დასჭირდა.

„2022-2024 წლები ჩვენი ქვეყნისთვის გამორჩეულად რთული და მძიმე იყო. **იყო უსამართლობა, უხეში ზეწოლა, უხეში ქმედებები ჩვენი ქვეყნის მიმართ. იყო პირდაპირი მოწოდებები და მოთხოვნები ომში ჩართვასთან დაკავშირებით. როდესაც ქვეყანა ასეთ მდგომარეობაშია, არის ამხელა ზეწოლა, ასეთი წნეხი, უსამართლობა, რევოლუციის ორგანიზების რამდენიმე მცდელობა და როცა ასეთ დროს, ადამიანი ხელის მოთბობაზე ფიქრობს, ეს არის პრინციპულად არასწორი – უფრო უხეში შეფასება არ მინდა“!**




2023 წლის დეკემბერში, როდესაც ჩვენთვის უკვე გარკვეული ინფორმაციები იყო ცნობილი, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა. მან სწორედ ამ შენობაში კონკრეტული განცხადებები გააკეთა და კონკრეტული მინიშნებები ჰქონდა. ერთ-ერთი უმთავრესი მინიშნება სწორედ კორუფციას უკავშირდებოდა.

ვინ იქნება დაკავებული, ამაზე საუბარი უჭირს თბილისის მერს კახა კალაძეს, რომლის განცხადებით, ფაქტი ძალიან მძიმეა, ძალიან ცუდია და როცა საქმე ყოფილ თანაგუნდელებს ეხება, მისი თქმით, ეს კიდევ უფრო დამამძიმებელია.

პოლიტიკის დოქტორი, პოლიტოლოგი ირაკლი გოგავა თვლის, რომ რაც ხდება, უდაოდ კარგია. კორუფციასთან ბრძოლა და წმენდა ყოველთვის სასარგებლოა, მაგრამ კორუფციასთან ბრძოლა უნდა იყოს მუდმივი, 24-საათიან რეჟიმში და ამ შემთხვევაში, შედეგი ექნება სახელმწიფოს, ხალხს და საქმეც გაცილებით უფრო სწრაფად წავა წინ.

**„რის გამო მოხდა ასეთი რამ. ამდენი წელი არ იყო რეაგირება და აგერ, დღე არ გავა, რომ ვინმე ყოფილი მაღალჩინოსანი არ დააპატიმრონ, „ქართული ოცნების“ გუნდის ყოფილი წევრის სახლი არ გაიჩხრიკოს და ეს არის მასობრივი კამპანია. მე რას ვუკავშირებ ამას – ჩვენ უნდა გავიხსენოთ, როდესაც ბიძინა ივანიშვილი გავიდა აქტიური პოლიტიკიდან, მან დატოვა თავისი გუნდი და ამ გუნდმა გაიყო საქმიანობის სფეროები. ირაკლი ღარიბაშვილს დაევალა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების კოორდინაცია და ხელმძღვანელობა, ხოლო პარლამენტი და პოლიტიკური საქმიანობა ჩაიბარა ირაკლი კობახიძის ჯგუფმა. ისინი შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთის საქმეში არ ჩარეულიყვნენ. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ თავი და თავი პრობლემების. ერთმანეთის საქმეში არჩარევამ, სწორედ ამან მიიყვანა ამ შედეგამდე – აღმასრულებელი ხელისუფლება დაჭაობდა“**, – აცხადებს ირაკლი გოგავა.

როგორც პოლიტოლოგი ამბობს, საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობაა. საპარლამენტო კომიტეტები, დარგობრივი კომიტეტი, პარლამენტი, თვითონ პარლამენტის წევრები, წესით, უნდა აკონტროლებდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას.

**„ინტერპელაცია როცა ხდება, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების დაბარება პარლამენტში, გამოდიან სიტყვით, შემდეგ კითხვებია, კრიტიკაა – იდეალურ სახელმწიფოში, ამ რიტუალის გარეშეც სერიოზული კონტროლი უნდა იყოს, ანუ სადეპუტატო კონტროლი, წერილები მუდმივი უნდა იყოს. მარტო წელიწადში ერთხელ, ერთი მინისტრი რომ მივა, ასე კი არ უნდა იყოს, მუდმივი მუშაობა არის საჭირო დარგობრივი კომიტეტიდან და ფრაქციებიდანაც. ამ ზედამხედველობით ფუნქციას პარლამენტი არ ასრულებდა და არც ასრულებს.**

**პარლამენტი უნდა განსაზღვრავდეს ქვეყნის პოლიტიკას და შემუშავებული პოლიტიკისთვის რეალიზაციისთვის ქმნიდეს კანონებს. ეს კანონები პარლამენტში არ იქმნება. პარლამენტში ხდება მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემოტანილი კანონების დამტკიცება, მცირე კორექტივებით. ის ერთგვარი, სანოტარო ბიუროა, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას კონვეიერის წესით უმტკიცებს, რა კანონები და ცვლილებები უნდა აღმასრულებელი ხელისუფლების ბიუროკრატიის სასარგებლოდ და იშვიათად ხალხის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, რადგან ეს ზედამხედველობის ფუნქცია მოიშალა, მოიშალა აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც დარჩა უკონტროლო“**, – ამბობს პოლიტოლოგი.

გარდა ამისა, ირაკლი გოგავა აქვე ამბობს, რომ აღმასრულებელი ხელუსუფლების საკონტროლოდ არსებობენ ძალოვანი სტრუქტურები, პირველ რიგში, ეს არის აუდიტის სამსახური, რომელიც პარლამენტის მიმართ არის ანგარიშვალდებული, მაგრამ საერთოდ ვერ მუშაობს ეფექტიანად.

**„აუდიტის სამსახური უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო ხარჯების მართლზომიერებას და გამოდის, რომ აუდიტის სამსახურმა სრულად ჩააფლავა მუშაობა. თუ ახლა ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის, მისი მოადგილის, სხვადასხვა მინისტრების, ასევე, ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიმართ არის კითხვები, ეს ყველაფერი აუდიტის სამსახურის დასკვნებში უნდა ყოფილიყო ასახული, მათ უნდა გამოეტანათ სააშკარაოდ, წარედგინათ პარლამენტისთვის და საზოგადოებისთვის დასკვნა, რაც არ გაკეთდა.**

**რა იქნება, წინასწარ ვერ გეტყვით. შევხედოთ პროცესებს. ჯერჯერობით, სტარტი მაჟორულია, კარგია. ერთადერთი, რა კითხვებიც მაქვს ამ პროცესებთან დაკავშირებით, გახლავთ ის, რომ ციფრები, რაც ჟღერდება – 6 მილიონი, 7 მილიონი, 2 მილიონი, ზღვაში წვეთია იმ მასშტაბებთან შედარებით, რაც ამ ხალხის ხელში გადიოდა. თითქმის 2 მილიარდი იყო ინფრასტრუქტურის ბიუჯეტი. ქოლცენტრების თემა სად არის?! მასშტაბები არის გაცილებით დიდი.**

**რა ციფრებიც ჟღერდება, იმას ორი ნული უნდა მიუწერონ და აი, ის არის ნამდვილი ციფრები. ის ციფრები რომ არ ჟღერდება, ცოტა მაფიქრებს. აუცილებლად ის ციფრები უნდა გაჟღერდეს და რატომ? იმიტომ, რომ ის ციფრები თუ გაჟღერდება, მერე უკვე ბიუჯეტში უნდა შევიდეს არა 6 და 7 მილიონი, არამედ 600 და 700 მილიონი. ამას თუ მიაქცევენ ყურადღებას, ძალიან კარგი იქნება“**, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ირაკლი გოგავამ.

მოამზადა

თამთა ქარჩავამ

# რიგგარეშე სიკვდილის მოლოდინში

(მესამე გვერდიდან)

**ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მძიმდება იმით, რომ ევთანაზიის 691 შემთხვევა გამოვლინდა არა განუკურნებელ სენთან ბრძოლის „ჰუმანურობის“ ფარგლებში, არამედ გრიფით: „სხვა გარემოებები“. დამტკიცდა, რომ თითქმის 700 ადამიანი, რომლებსაც ლეტალური ინიექციები ჩაუტარდათ, უბრალოდ ხანდაზმულები იყვნენ, არა ავადმყოფები თუ მომაკვდავები, არამედ უბრალოდ ხანშიშესული მოხუცები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სიკვდილი სურდათ.**

ამ „ჰუმანური“ გარდაცვალების განსაცვიფრებელი რიცხვის უკან მწარე რეალობა იმალება: კანადის დანგრეული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა ავადმყოფებსა და მოხუცებს ევთანაზიისკენ, როგორც მკურნალობის „ალტერნატივისკენ“, უბიძგებს. კანადაში სპეციალისტთან ვიზიტის საშუალო ლოდინის დრო 27.7 კვირამდე გაიზარდა, რაც სასოწარკვეთილ პაციენტებს რთული არჩევანის წინაშე აყენებს: აიტანონ საკუთარი მდგომარეობის გაუარესება, ან მიმართონ სახელმწიფო დახმარებას სიკვდილის მიზნით, რომელ პროცედურასაც ლოდინის გარეშე, შემჭიდროებულ ვადაში ჩაუტარებენ.

მაგალითად, 52 წლის დენ კუეილი ევთანაზიის მსხვერპლი გახდა მას შემდეგ, რაც მას კიბოს მკურნალობაზე უარი ეთქვა ექიმებთან მიღების მოლოდინის, როგორც ჩანს ხელოვნურად დაგვიანების გამო, ხოლო ვინიპეგელმა ქალმა, რომელსაც ამიოტროფული სკლეროზი ჰქონდა, თვითმკვლელობის დახმარებით „მკურნალობა“ აირჩია მას შემდეგ, რაც სპეციალიზებულ დაწესებულებაში სათანადო მოვლას ვერ მოესწრო და საკუთარ ნეკროლოგში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „ელემენტარული დახმარების შემთხვევაში სიცოცხლის მეტი დრო დამრჩებოდა“.

**ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ ევთანაზიაზე ვინც უარს აცხადებს, ისინი „ეგოისტებად“ მიიჩნევიან და საზოგადოებრივი გაკიცხვის ობიექტები ხდებიან იმის გამო, რომ არ სურთ თავისი „სიჯიუტის“ გამო დამძიმებულ ჯანდაცვის სისტემას ტვირთი შეუმსუბუქონ. კანადის მემარცხენე მთავრობის გადაწყვეტილება – ევთანაზია ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებზე და ბავშვებზე გაევრცელებინა (მიუხედავად იმისა, რომ ამან საზოგადოებასა და ექიმებს შორის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია), მხოლოდ 2027 წლამდე გადაიდო. მე კი რატომღაც მგონია, რომ ამ ინოვაციასაც დააჩქარებენ.**



დავით ქართველიშვილი

# ბაღდათი-აბასთუმნის 16 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დასრულდა



**საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, პაპასხიდი-ზეკარის გზის 16 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.**

ამ გზის ერთი მონაკვეთი გადის ფაქტობრივად დაუსახლებელ ტყიან ზონაში, ხოლო მისი მეორე ნაწილი – ალპურ ზონაში. გზა ზღვის დონიდან საშუალოდ 1700-2100 მ სიმაღლეზე მდებარეობს. რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული იყო გზის სრული რეაბილიტაცია. კერძოდ, განხორციელდა ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, წყალგამტარი მილებისა და საყრდენი კედლების მოწყობა. ასევე, მოეწყო საგზაო ნიშნები და განხორციელდა გზის ჰორიზონტალური მონიშვნა.

აღნიშნული მონაკვეთი ბაღდათი-აბასთუმნის გზის შემადგენელი ნაწილია. ბაღდათი-აბასთუმანის გზის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია მნიშვნელოვნად გაზრდის მომსახურების დონესა და უსაფრთხოებას, შეამცირებს სამგზავრო მანძილსა და დროს (დაახლოებით 90-120 წუთი) საქართველოს ცენტრალური ნაწილიდან თურქეთის საზღვრამდე.

**სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი ჯამური ღირებულება 65 მლნ. ლარამდეა.**

# ვისწავლოთ, ვიცოდეთ წარსული, თვალი გავუსწოროთ მომავალს



**დავით ახლოური,**
საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი

## მკითხაობა აისორულად

**XIX-XX საუკუნეების ქართული პრესის ფურცლებზე ხშირად ვხვდებით აქტუალურ ინფორმაციებს ანტონისძის ფსევდონიმით. წერდა საინტერესოდ, გამართული სალიტერატურო ენით, მეტ ყურადღებას უთმობდა ქსნის ხეობაში მიმდინარე სიახლეებს და დაუფარავად ამხელდა არსებულ მანკიერებებს.**

„ქსნის ხეობას კარგა ბლომად სოფლები ახვევია გარშემო – გვატყობინებდა ანტონისძე „ცნობის ფურცლის“ 1901 წლის 17 აგვისტოს ნომრიდან – ქსენონი და ბოქაული იმყოფება ს. ახალგორში, რომელიც განთქმულია სიმდიდრით მთელ დუშეთის მაზრაში. ახალგორელი თითქმის ყველა კარგად არის: ისინი არც ხვნენ, არც სთესვენ, მაგრამ ღვინო და პური ძლიერ ბლომათ აქვთ. ყველაფერს ამ ხეობის სოფლებიდან იძენენ; თვით სოფლები კი ყოველისფერს მოკლებულია ახალგორელ ჩარჩების წყალობით.

უგზოობაც ძლიერ აწუხებს მცხოვრებლებს; გზები თითქმის სანახევროდ გაფუჭებულია. ადრინდელ დროში ვიღაც მადლიანს უკეთებია, რაც გაჭრილ კლდეებს ეტყობა. ეხლა კი, როდესაც ხალხი განათლებაში უნდა შედიოდეს, გზებისთვის სულ თავი დაუნებებიათ: სჩანს, ამ სოფელს გულ-შემატკივარი არავინ ჰყავს. ქურდ-ბაცაცებიც არ ასვენებენ ისედაც დაბეჩავებულ ხალხს. ამ ზაფხულ მეტად ხშირი იყო ქურდობა.

სასწავლებელი თითქმის ამ ხეობაზე არსად არსებობს, გარდა ს. ახალგორისა“.

ვხედავთ, რამდენი რამის მხილებაა ამ მოკლე მიმოხილვაშიც; ახალგორელი ჩარჩების გაქსუება, უგზოობა, ქურდობა, უსწავლელობა და ამ ყველაფრით ხალხის დაბეჩავება. არცაა გასაკვირი, რომ ქსნის ხეობაში ამღვრეული წყლის „სიკეთით“ ესარგებლა ისეთ გაქნილ კაცს, როგორიც ვინმე ივანე ყოფილა, რომელსაც ხალხის მოსატყუებლად მჩხიბაობისთვის მიუყვია ხელი: **„ამ ყრუ სოფლებში ერთი ვიღაცა ვაჟბატონი გაბატონებულა; იმ ვაჟბატონის სახელი ივანეა. ტომით აისორი, მაგრამ თავის თავს ბერძენს უწოდებს. საფრანგეთში გავათავე ფაკულტეტი და კარგი მკითხავი და ექიმი ვარო. იგი დროებით ს. მონასტერში იმყოფება და იქიდან დაჰყავთ, სადაც გასაჭირი არის. მკითხაობა მორიგებაზე არის, მაგრამ მანეთ ნაკლებ აღარ შეიძლება. ვინც რამეს დაჰკარგავს, მაშინვე ამ ვაჟბატონთან მიდის სამკითხველოდ, ამ ვაჟბატონმა ვითომც გიჟების მორჩენაც უნდა იცოდეს. ეს ვაჟბატონი ხაზინებსაც ეძებს, ძველ დროს შენახულებს. ამას წინად სამს ალაგას ათხრევინა მიწა თითო კვირა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი უპოვნია, ხალხი მაინც უკან დასდევს, როგორც დიდ ბრძენს და ნასწავლს“.**


ცნობის ფურცელი
1896—1903

აქაც ილია გვახსენდება. მისი გენიალური „კაცია-ადამიანი?!“ და მკითხავებისგან გაბითურებული თათქარიძეების სახლეული.

მოჰყვება ლამაზისეული წელში მოხრილ, დაჩიავებულ დედაბერს და გულუბრყვილოდ უმხელს ყველა საიდუმლოს:

„მაშ ქალაქში რომ მკითხავს აკითხვინეს და ეთქო, თელეთი ილოცეთო, ისიც გეცოდინება?.. – უთხრა გოგომ და დააცქერდა გაოცებული, ვნახოთ, რას იტყვისო.

– მაშ, ჩემო კარგო, ჩვენი ხელობა რა არის? პურს მაგითი ვჭამ და ეგ როგორ არ მეცოდინება? – მიუგო ოსტატმა დედაბერმა ისე არხეინად, ასე გგონია – მართლა იცოდაო.

– თელეთში რომ ვიყავით, ისიც იცი? – გეუბნები, შვილო, ჩვენი ხელობა ეგ არის-მეთქი. მაგითი ვცხოვრობთ, მაშ არ გვეცოდინება? ძალიან უხაროდა გულში მკითხავსა, რომ ამისთანა სულელი გოგო შეჰხვდა, რომ ზოგიერთი საჭირო ამბავი გზადაგზა გამოათქმევინა“...

მკითხაობა განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ქსნის ხეობის სათავეებთან მცხოვრებ ჟამურელ ოსებში: **„არა მხარეში არ მოიპოვება იმდენი მკითხავი, რამდენიც აქ. ყველა მკითხავთა შორის განთქმულია მათე ყ-შვილი, მისი სიტყვა ხალხს ღვთიურ სიტყვად მიაჩნია. ხალხს რომ უთხრას: დღეს ნუ მუშაობთო, „სირხი ძვარი“ (ოსების სალოცავი – დ.ა.) ჯავრობსო, რაც უნდა გაჩქარებული მუშაობა ჰქონდეთ, თავი უნდა გაანებონ; ან რომ უთხრას ვისმე: ესა და ეს ხარი უნდა დაუკლა „სირხი ძვარსაო“, ის დაუყოვნებლივ აასრულებს“.**

მკითხაობის, როგორც ქსნის ხეობაში არსებული ცრუმორწმუნოების ერთ დიდ სენზე, 1915 წლის 23 დეკემბრის ყოველდღიურ საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ „საქართველოშიც“ არის საუბარი. ავტორი სოსოს ფსევდონიმით, გვამცნობს, რომ ამ სენს როგორც დაბალ, ისე საშუალო შეძლების ხალხში ჰქონდა ფეხი მოკიდებული. იგი იხსენებს გორის მკითხავს, ვინმე გრიქუროვს, რომელთანაც აქტიურად დაიარებოდა **„არა მარტო დაბალი ხალხი, როგორც გორის, ისე ახლო-მახლო სოფლელებისა, არამედ ბევრი ინტელიგენტიც“.**

სოფელ ლამისყანაში უცხოვრია კიდევ ერთ მკითხავ კაცს, რომელიც მახლობელი სოფლების მაცხოვრებლებს „უტიფრათ“ ატყუებდა. მკითხავი ჰყოლიათ სოფელ მუხრანშიც, სადაც მცხოვრობი მოლა ავადმყოფს ზოგჯერ საკუთარ, ზოგჯერ დაავადებულის სახლში რაიმე ნიშანზე ულოცავდა. სამკითხაოში აძლევდნენ ფულს, თივას, ფუჩეჩს და სხვა. **„გლეხს გაუხდება ავათ ვინმე, შეხვდება რამე გადამდები სენი, მუშაობის დროს იტკენს რამეს, ნაღვინევს დაემართება რამე უბედურება, თუ საქონელი დაეხუთება, მაშინვე მიეშურება მკითხავისაკენ, რომელნიც ბლომად არიან აქეთკენ. მკითხავი შეულოცავს ავათმყოფს, მისცემს წამალს და თანაც დააბარებს: აი ეს წამალი, ასვი, როგორც მე გითხარი და თუ არ არგოს(,) კიდევ მნახე. თავის ხელობას იგი ძვირად აფასებს, ამ ბოლო დროს ისინიც აჰყვნენ ფეხის ხმას და მკითხაობის ნიხრი ასწიეს“.**

...ადვილად ტყუვდებოდა გაუნათლებელი გლეხკაცი. ამიტომაც ცდილობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მეტი სკოლის გახსნას, უცოდინრობის აღმოფხვრას.

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
„სრ“ №108, 109-110, 111-119, 120-121, 123, 125, 126

**გვეხმაურებიან**

# სამწუხარო გაუგებრობა

**საქმე ეხება აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის ვრცელ წერილს, მიძღვნილს დიდი გალაკტიონისადმი, რომელიც გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის“ 27 ოქტომბრის ნომერში.**

პოლემიკაში არ შევდივარ, მხოლოდ წერილის ერთ ეპიზოდზე მინდა, გამოვხატო ჩემი გულწრფელი აზრი.

ქალბატონი ინესას შეხედულებით, „რაოდენ საამაყოა, რომ გალაკტიონი არა მარტო განიცდის ბაირონის გავლენას, არამედ კიდევ უფრო ანვითარებს და აღრმავებს მის სახეებს. თუ ბაირონის მერი მხოლოდ „საოცნებო სამყაროს დედოფალია“, როგორც თავად ინგლისელი პოეტი ბრძანებს, გალაკტიონს მერი ღვთისმშობლის კატეგორიაში აჰყავს“.

ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმები ორი მოსაზრებით. **პირველი,** საამაყო არაფერია მოკვდავი ადამიანის შედარებაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელთან და, მეორე, დასკვნა მცდარია იმ აზრით, რომ გალაკტიონს სწამდა ღვთისმშობლის.

ქალბატონი ინესას სტატიიდან ზოგადად ასეთი განცდა იქმნება, თითქოს გალაკტიონი დიდად მორწმუნე იყო და მის პოეზიაში რწმენა არის ასახული („ჰიმნი, მიძღვნილი ათონის ივერთა მონასტრის კარიბჭის ღვთისმშობლის ხატისადმი“, „ლექსი ღრმად გააზრებულ თეოლოგიურ ალუზიებს შეიცავს“ და ა. შ.). ვფიქრობ, მაინც არის საჭირო, შესაბამისი დაზუსტება.

ავიღოთ გალაკტიონის სხვა, ასევე ძალზე ცნობილი ლექსი:

**„სიმკაცრით შემხედავს საშვენი**
**თვალები შეკრული კამარის:**
**ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი**
**არ არის, არ არის, არ არის!“**

აქ საუბარი ღვთისმშობელზეა, რომლის არსებობაში ავტორს ეჭვი შეაქვს. კიდევ სხვა ლექსში, პოეტის გოდება გრძელდება და იგი ასეთ რამესაც ამბობს:

**„დღეს კი, როდესაც შავი ბურუსი**
**მისპობს და მიკლავს ოცნების კუთხეს,**

**ჩემს გაჩენის დღეს ვწყევლი იდუმალს**
**და ვლოცავ ყოფნის**
**აღსასრულის დღეს“...**

სპარსული გაზელას ფორმით შექმნილ ადრეულ ლექსში კი გალაკტიონი ასე მოთქვამს:

**„გაიშლება მწუხარება შეულეველი**
**შენის ხელით დანაქარგი... არაფერია.**
**მომკლას ღვინომ, მომკლას ღამემ,**
**ყოფნა მტვერია,**
**მეტი ძებნა... მეტი ბარგი... არაფერია“.**

რა გამოდის, გალაკტიონი ათეისტია? საქმე ისაა, რომ შოპენჰაუერის დიდი პესიმიზმის შავი აჩრდილი საქართველოსაც ეფინება. პოეტი თანმიმდევრულია – იგი თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს, რაც ქრისტიანისთვის უდიდესი ცოდვაა და, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თვითმკვლელობას თვით შოპენჰაუერიც არ ცნობდა სწორ გამოსავალ გზად (იხ. არტურ შოპენჰაუერი, „სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა“, IV, § 69, თბილისი 2010).

**ვიქტორ რცხილაძე**



ლავრენტი ბერია, იოსებ სტალინი და ვალენტინა სერგეევა

# სტალინი – გენიალური „დიქტატორი“

## ისტორია, რომელიც არ მთავრდება

### III ნაწილი

**...ვალენტინა სერგეევა კედელთან იდგა სინით ხელში, რომელზეც სომხური კონიაკით სავსე რამდენიმე გოკალი ეწყო. ხელები არ უკანკალებდა, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო თვეების განმავლობაში სწავლამ და ვარჯიშმა, თუმცა შიგნიდან თითქოს შეკუმშული იყო დაძაბულობისგან. ის პირველად ხედავდა ყველა იმ ადამიანს ერთად, რომელთა პორტრეტები მთელი ქვეყნის ყველა დაწესებულებაში ეკიდა კედლებზე, დერეფნებში, სახლების ფასადებზე.**

**მოლოტოვი** თავისი განუყრელი პენსნეთი გამოიყურებოდა, როგორც პედანტი ბუღალტერი, რომელიც მაგიდას ყურადღებით ათვალიერებდა, რათა შეემოწმებინა, იყო თუ რა ყველაფერი წესრიგში. **მიქოიანი** მოხერხებული ვაჭრის თვალით ამოწმებდა დარბაზში შემომსვლელებს, ბერია მოწყენილი იდგა, სქელი ტუჩებით და მისთვის დამახასიათებელი საოცარი გამჭრიახობით, იქვე იყო მრგვალი, ბავშვურსახიანი **მალენკოვი** – გულმოდგინედ რომ იმეორებდა ბელადის მანერებს, **კაგანოვიჩი** – მასიური, ტლანქი ყბით, ხმამაღლა იცინოდა საკუთარ ხუმრობებზე.

ყველანი გაირინდნენ, როცა დარბაზში „ის“ შემოვიდა.

**სტალინი** აუჩქარებლად მოძრაობდა, ცოტათი კოჭლობდა მარცხენა ფეხით.

ის არ იყო მაღალი კაცი. უბრალო კიტელი ეცვა, არც ორდენები ეკიდა მკერდზე, მხოლოდ ჩიბუხი ეჭირა ხელში; ერთი შეხედვით, არაფერი განსაკუთრებული, უბრალო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მის ირგვლივ თითქოს ჰაერიც კი მყარდებოდა.

დარბაზში მყოფნი, თითქოს მწკრივში იდგნენო, ერთბაშად შემობრუნდნენ მის მხარეს.

სტალინი წყნარად მივიდა თავის ადგილზე, მაგიდის თავში, ცენტრში კი არა, ცოტათი გვერდით, საიდანაც ყველა კარგად ჩანდა.

როცა დაჯდა შეკრებილებს თვალი მოავლო და მზერა წამით შეაჩერა ვალენტინაზე.

გოგონამ შეამჩნია ბელადის მზერა და ისე გაქვავდა, თითქოს არც კი სუნთქავდა.

სტალინი მიბრუნდა, მოლოტოვს შეხედა და უთხრა:

– ვიაჩესლავ!

ხმა მაღალი არ იყო, თუმცა აშკარად იგრძნობოდა ქართული აქცენტი:



– რატომ აგვიანებს ამხანაგი **ჟდანოვი** ლენინგრადიდან?

– ამხანაგო სტალინ, – სწრაფად უპასუხა მოლოტოვმა, თვითმფრინავი შეფერხდა ამინდის გამო.

– ამინდი, – ჩაიღიმა სტალინმა, – ყოველთვის არის მიზეზი ამინდი, როცა არ სურთ ჩამოსვლა.

კვლავ დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა.

ყველამ იცოდა, სტალინის ბანკეტზე დაგვიანება შეიძლებოდა მთელი კარიერის ფასად დაგჯდომოდა.

მაგიდას მიუსხდნენ. პირველი სადღეგრძელო, ტრადიციისამებრ, ბელადს ეკუთვნოდა.

ვალენტინამ ბოკალი შეუვსო. პირთამდე არა, ერთი-ორი თითის დადებამდე, როგორც ასწავლეს.

სტალინი ადგა და მასთან ერთად ყველა ფეხზე წამოდგა.

– ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელო იყოს! – თქვა მან წყნარად და უბრალოდ, – ხალხს გაუმარჯოს, რომლებიც ჩვენ გვენდობიან და ჩვენი იმედი აქვთ!

სადღეგრძელო ყველამ ერთხმად შესვა, ყველამ, სტალინის გარდა. მან მხოლოდ ტუჩები მიაკარა კონიაკს და ბოკალი მაგიდაზე დადო.

ვახშამზე, როგორც წესი, დასაჯდომი ადგილების რაოდენობა მკაცრად იყო განსაზღვრული.

სტალინის მარჯვნივ ყოველთვის იჯდა **მოლოტოვი**, პარტიის ერთგული ხელი, მარცხნივ გარემოებების მიერ წინ წამოწეული ფავორიტის ადგილი იყო. დღეს ის რჩეული მალენკოვი გახლდათ.

ბერია საწინააღმდეგო მხარეს იჯდა ისე, რომ ბელადს შეეძლო პირდაპირ ეყურებინა მისთვის. დანარჩენი ადგილები სურვილის მიხედვით შეეძლოთ აერჩიათ თანამეინახეებს, ოღონდ, იერარქიის დაცვით.

ცოტა ხანში კონიაკი ქართულმა ღვინომ შეცვალა.

დაიწყეს სადღეგრძელოების წარმოთქმა ომის მოგონებებზე, ომამდელ წლებზე. მაგრამ ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ვახშამზე ვალენტინამ შეამჩნია უცნაური დეტალი – ყოველი კერძის შემოტანაზე სტალინთან მიდიოდა ტანმორჩილი კაცი, „შტატსკი“ ტრანსაცმელში გამოწყობილი, რაღაცას ჩაუჩურჩულებდა ბელადს და მისი თანხმობის, ანუ თავის დაკვრის შემდეგ მოჰქონდათ საჭმელი.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №139, 144, 146

ეს გახლდათ დეგუსტატორი ნომერი 3, რომლის შესახებაც ლეგენდები დადიოდა მოსამსახურეებს შორის.

მისი სახელი არავინ იცოდა, მასთან არავის არასდროს ჰქონია რაიმე სახის კონტაქტი, არავინ იცოდა საიდან მოდიოდა, თუმცა ყოველი ვახშმის დროს საიდანღაც გამოჩნდებოდა და მისი თანხმობის გარეშე არც ერთი ლუკმა არ ხვდებოდა ბელადის სასადილო მაგიდასთან.

შუაღამე მოახლოებული იყო, რომ ცოტათი შეზარხოშებულმა ბერიამ ანეკდოტის მოყოლა დაიწყო ქართველ გლეხსა და რუს ბაზუაზე.

სტალინი ჩიბუხის ქაჩვით წყნარად უსმენდა. ყველაზე კულმინაციურ მომენტში მან ბერიას შეაწყვეტინა:

– ლავრენტი, გახსოვს ის ქართველი, ბათუმელი? რა გვარი იყო? მელქაძე?

ბერიას ფერი წაუვიდა.

ბოკალმა მის ხელში რყევა დაიწყო.

ღვინო გადასაფარებელზე გადმოიღვარა.

– ვერ ვიხსენებ, ამხანაგო სტალინ, – შეეცვალა ხმა ბერიას.

– უცნაურია, – თქვა სტალინმა და ჩიბუხი დაფერთხა, – მას შენ მშვენივრად ახსოვხარ, განსაკუთრებით კონტრაბანდის საქმეზე, 1935-ში.

დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა. ისეთი სიჩუმე, რომ ვალენტინას ცხადად ესმოდა ბუხრის ტკაცუნის ხმა.

ბერია მაგიდის კუთხეს მოეწიდა და ისე დაჯდა, ნერვიულობისგან ხელები გათეთრებული ჰქონდა.

– ვიხუმრე, – გაიცინა სტალინმა, – არ არსებობს არავითარი მელქაძე, მაგრამ კარგი იქნება, თუ უკეთესად გემახსოვრება წარსული, ლავრენტი. მეხსიერება, ეს არის ყველაზე მთავარი, რაც კი გვაქვს ადამიანებს.

ბერიას ნაძალადევად გაეღიმა და ერთბაშად გადაჰკრა ქართული ღვინო, თუმცა მას შემდეგ მთელი საღამო ხმა აღარ ამოუღია, მხოლოდ სხვების სადღეგრძელოებს იმეორებდა.

ბანკეტი რომ დამთავრდა და სტუმრებმა დაშლა დაიწყეს, ბერია გასასვლელში შეჩერდა, ხელი დაუქნია ვალენტინას და შეზარხოშებული გამომეტყველებით თვალმოჭუტულმა ჰკითხა:

– რა გქვია?

– ვალენტინა მიხაილოვნა, ამხანაგო ბერია.

ბერია დაიხარა მის ყურთან.

გოგონამ იგრძნო ერთმანეთში არეული ოდეკოლონის, სასმლის და თამბაქოს სუნი.

– შენ დღეს არაფერი დაგინახვს და არაფერი მოგისმენია, – ჩაიჩურჩულა მან, – განსაკუთრებით მელქაძის შესახებ. გასაგებია?

– რა თქმა უნდა, ამხანაგო ბერია.

– ჭკვიანი, – თქვა ბერიამ და ნაზად მოუთათუნა ხელი ლოყაზე დაძაბულ ვალენტინას.

* * *

**უახლოესი აგარაკი კუნცევოში განსაკუთრებული ადგილი იყო. აქ კრემლიდან 20 წუთის სავალზე ატარებდა ყველაზე მეტ დროს იოსებ სტალინი. სწორედ აქ იმართებოდა ღამეული ვახშმები, რომლებზეც ლეგენდებს ჰყვებოდნენ.**

ვალენტინა პირველად კუნცევოს აგარაკზე 1946 წლის მარტში მოხვდა.

შავი „ვოლგა“ დიდხანს მისრიალებდა მოსკოვის ქუჩებში, შემდეგ ქალაქგარეთ, სანამ არ მივიდნენ მკაცრად დაცულ ტერიტორიაზე, სადაც იდგა მოკრძალებული, მწვანედ შეღებილი ერთსართულიანი სახლი. დიახ, სახლი უბრალოდ გამოიყურებოდა და არც თვალში ეცემოდა ვინმეს თავისი გარეგნული იერით, მაგრამ ვალენტინამ იცოდა, რომ ამ უბრალოების უკან იყო ამ ქვეყანაში ყველაზე დაცული ობიექტი.

აგარაკი შიგნიდანაც ასკეტურად გამოიყურებოდა – უბრალო ავეჯი, მინიმალური მორთულობა, ყველა ოთახში კედლებზე ეკიდა ლენინის და მისი თანამებრძოლების რევოლუციის პერიოდის ფოტოები, მხოლოდ სასადილო ოთახს ჰქონდა თუმცა მოკრძალებული, მაგრამ მაინც სადღესასწაულო ელფერი. ოთახში იდგა წითელი ხის გრძელი მაგიდა, რომელზეც ეწყო ბროლის გრაფინები და სახელმწიფო გერბით დამშვენებული ფაიფურის ჭურჭელი.

აგარაკზე განსაკუთრებული წესები მოქმედებს, – გააფრთხილა ვალენტინა მოსამსახურე პერსონალის უფროსმა ანა სტეპანოვნამ. – აქ ამხანაგი სტალინი ისვენებს და ითხოვს, რომ განიტვირთოს ყველა, მაგრამ ეს არის ყველაზე საშიში რამ – როცა ადამიანი თავისუფლადაა, ის საუბრობს პირადულზე.

პირველი ვახშამი აგარაკზე ვალენტინა სერგეევას სამუდამოდ დაამახსოვრდა.

დარბაზში იყვნენ მხოლოდ ძალიან ახლობლები: მოლოტოვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი. ბერია იქ არ იყო.

სტალინი საშინაოდ, ხალვათად იყო ჩაცმული, კიტელის გარეშე, ხან ჩიბუხით, ხან – პაპიროსით, ნება-ნება ეწეოდა თავის საყვარელ „ჰერცოგოვინა ფლორას“. ხასიათი იმ დღეს განსაკუთრებით ფილოსოფიური ჰქონდა.

– იცით, ამხანაგებო, – თქვა მან და თან ბოკალები ღვინით საკუთარი ხელით შეავსო, – ხელისუფლება ეს არის თეატრი, ჩვენ მსახიობები ვართ, მხოლოდ როლებს ჩვენ არ ვირჩევთ, მათ ჩვენ გვაკისრებს ისტორია.

– ბრძნული სიტყვებია, ამხანაგო სტალინ, – დაეთანხმა კაგანოვიჩი.

– ნუ აფერისტობ, ლაზარ, – შეაწყვეტინა სტალინმა, – უკეთესია, ის მითხარი, რატომ არის პრობლემები უკრაინაში პურპროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებით.

კაგანოვიჩმა თავის მართლება დაიწყო, მოჰყავდა ციფრები, მსჯელობდა.

სტალინი უსმენდა, თან ჩიბუხს აკაკუნებდა მაგიდაზე.

ვალენტინამ შეამჩნია, როცა ის უკმაყოფილო იყო, კაკუნის რიტმი ხშირდებოდა.

– ციფრები, ციფრები, ციფრები, – შეაწყვეტინა ბელადმა კაგანოვიჩს, – ხალხი სად არის, გლეხებს რატომ არ სურთ, ხორბალი სახელმწიფოს გადასცენ?!

– კულაკური განწყობა, ამხანაგო სტალინ.

– კულაკები ჩვენ დიდი ხანია გავანადგურეთ. შესაძლოა, საქმე სხვა რამეში იყოს, შეიძლება, ადგილობრივი ხელმძღვანელობა იპარავს?!

ოთახში სიჩუმე ჩამოდგა.

სტალინის მიერ ქურდობაში დადანაშაულება ნიშნავდა ნკვდ-ს შესვლას და ყველაფრის ძირფესვიან შემოწმებას.

– დავინტერესდები, ამხანაგო სტალინ, – აუკანკალდა ხმა კაგანოვიჩს, პირადად გავაკონტროლებ.

– დიახ, ასე უნდა მოიქცე, – გაიღიმა სტალინმა, – ახლა კი დავლიოთ კარგი მოსავლისათვის.

იმ საღამოს ბევრი დალიეს.

სტალინი აგულიანებდა თანამესუფრეებს, დაელიათ, მოეყოლათ ანეკდოტები, ემღერათ.

შემთვრალი კლიმენტ ვოროშილოვი თავს იმაგრებდა, ფხიზლად რომ გამოჩენილიყო, სხვა დროს თავშეკავებულმა მოლოტოვმა მეხუთე სადღეგრძელოს შემდეგ დაიწყო 1937 წელს ამერიკაში თავისი მოგზაურობის ამბის მოყოლა.

ვალენტინას უკვე ნასწავლი ჰქონდა ამ ვახშმების ფარული შინაარსი – იმ თანმიმდევრობით, როგორადაც სტალინი თანამესუფრეებს უსხამდა ღვინოს, ადვილად შესამჩნევი იყო, საითკენ გადაიხრებოდა ძალების მობილიზაცია. მაგიდაზე სტუმრების განლაგების მიხედვით გასაგები ხდებოდა, ვინ მიიწევდა წინ და ვინ ეშვებოდა დაბლა კარიერულ კიბეზე.

ასეთ თემებს დებდა სადღეგრძელოების შინაარსში ბელადი, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც იყო თვით სასმელი: არაყი ნიშნავდა სერიოზულ საუბრებს, ქართული ღვინო ნოსტალგიურ განწყობებს, კონიაკი – დღესასწაულს ანდა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, შამპანიურს იშვიათად სვამდნენ და წინასწარმეტყველური იყო ზოგიერთი სუფრის წევრისთვის.

მოამზადა
ირანდა კალანდაძემ

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს რესპუბლიკა



№148. ოთხშაბათი. 5 ნოემბერი. 2025 წელი

**„ახალი ბირთვული სამხედრო ტექნიკის ბოლოდროინდელი გამოცდებით მოსკოვი მიანიშნებს ვაშინგტონს, რომ თეთრი სახლი უნდა დაემორჩილოს კრემლის ძლიერებას და მოლაპარაკების მაგიდას რუსეთის პირობების გათვალისწინებით მიუჯდეს“**, – ნათქვამია აშშ-ის გაზეთ **„ნიუ-იორკ თაიმსის“ (The New York Times)** ორი ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით **„პუტინი ახალ ბირთვულ იარაღს აჟღარუნებს, აშშ-სთან მოლაპარაკებები კი ჩიხში შედის“** (ავტორი – **პოლ ზონე**). პუბლიკაციაში გაანალიზებულია აშშ-რუსეთის „ბირთვულსაფრთხიანი“ ურთიერთობის მიმდინარე ეტაპი, უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომის ფონზე.

**გთავაზობთ სტატიას მცირეოდენი შემოკლებით:**

The New York Times

## Putin Brandishes Menacing Nuclear Weapons as Talks With U.S. Falter

Touting new weapons tests, Moscow signals to Washington that it must contend with the Kremlin's power and negotiate.



# პუტინი ახალ ბირთვულ იარაღს აჟღარუნებს!

**გავიხსენოთ რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობების განვითარების ბოლოდროინდელი პროცესი: პრეზიდენტები ბუდაპეშტში სამიტზე შეთანხმდნენ უკრაინაში მშვიდობის დამყარებაზე.**

შემდეგ რუსული დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა, რუსეთის პრეზიდენტის პირით, მკაცრი პირობები წამოაყენა მოლაპარაკების დღის წესრიგის თაობაზე. ამის შემდეგ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უარი განაცხადა ბუდაპეშტის სამიტზე და პარალელურად რუსეთს ნავთობის სანქციები დაუწესა. შემდეგ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გამოაცხადა, რომ რუსეთმა წარმატებით გამოსცადა „განკითხვის დღის“ ორი სახეობის მრისხანე იარაღი – ბირთვულძრავიანი რაკეტა „ბურევესტნიკი“ და უეკიპაჟო ატომური წყალქვეშა ნავი, რომლებიც აშშ-ის წინააღმდეგ არიან მიმართულნი.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ გამოცდის მომენტი შემთხვევით არ არის შერჩეული და რომ ვლადიმერ პუტინის პოზიცია ერთმნიშვნელოვანია: მოსწონს თუ არა კონკრეტულად ვინმეს პუტინის მოქმედება, ეს მისი საქმეა, მაგრამ აშკარაა, რომ რუსეთის ბირთვული არსენალი აშშ-სათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს და საბოლოოდ, ამერიკას მაინც მოუწევს რუსეთის პირობების გაზიარება და მოლაპარაკების დაწყება.

**კრემლი ამ სიგნალს ამერიკას ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დროიდან უგზავნის – საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდიდან – და მიანიშნებს, რომ ორი უძლიერესი ბირთვული სახელმწიფოს „ბალანსირება უფსკრულის პირას“ არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს და რომ მოლაპარაკება „სასიცოცხლოდ აუცილებელია“. ახლახან მოსკოვმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის იზოლირება, მათ შორის ნავთობ-გაზის ექსპორტზე სანქციების დაწესებით, ჩაშლისთვის არის განწირული. „რუსები ცდილობენ ჩვენ მიგვანიშნონ: „თქვენ ვერ შეძლებთ, როცა მოგესურვებათ, ერთი ხელის დაკვრით ისეთი სანქციები შემოიღოთ, როგორიც გინდათ. ჩვენ, რუსეთი, ბირთვულ სახელმწიფოს წარმოვადგენთ და მოგწონთ თუ არ მოგწონთ, ჩვენთან მოლაპარაკება მაინც მოგიწევთ“**, – განმარტავს **ანდრაშ რაცი**, საერთაშორისო ურთიერთობების გერმანული საბჭოს უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

დონალდ ტრამპი თეთრ სახლში მიმდინარე წლის დასაწყისში დაბრუნდა მტკიცე განზრახვით – შეწყვიტოს და დაასრულოს უკრაინის კონფლიქტი. მოსკოვი წარუმატებლად ცდილობდა დღის წესრიგი გაეფართოვებინა და მასში საქმიანი შეთანხმებების დადებაც შეეტანა – ენერგეტიკაში, ბირთვულ შეიარაღებასა და სხვა საკითხებში, რათა კრემლისათვის მოლაპარაკება კომპლექსურად მომგებიანი გამხდარიყო **„ერთადერთი სფერო, რომელშიც რუსეთი აშშ-სთან თანაბარ პირობებში იმყოფება, ეს, რასაკვირველია, მასობრივი განადგურების იარაღია“**, – ამბობს ანდრაშ რაცი, – **„ამრიგად, ზეგავლენის ბერკეტების მისაღებად, მათ, რუსებმა შეთანხმებაში ბირთვული ელემენტიც უნდა შეიტანონ. ზუსტად ასე იქცეოდა საბჭოთა კავშირიც. საბჭოთა ეკონომიკა თავისი მასშტაბით, მოცულობით და განვითარებით იმდენად მცირე იყო, რომ ვერც შეედრებოდა აშშ-ის ეკონომიკას, მაგრამ... რადგანაც კრემლის განკარგულებაში უძლიერესი ბირთვული არსენალი იყო, ამიტომ აშშ იძულებული ხდებოდა ზოგჯერ დათმობაზე წასულიყო“.**

ჯერ-ჯერობით კრემლის მცდელობა წარმატებული არ არის და დონალდ ტრამპმა მიანიშნა, რომ განზრახული არ აქვს რუსეთთან ერთად რაიმე ენერგეტიკული, წიაღისეულის ერთობლივად მოპოვების ან სატრანსპორტო (ვთქვათ, გვირაბი ბერინგის სრუტის ქვეშ) შეთანხმება გააფორმოს, სანამ უკრაინაში საომარი მოქმედებები არ დასრულდება. სამაგიეროდ, ბირთვული იარაღი ის სფეროა, რომლითაც მოსკოვი ცდილობს ვაშინგტონის ყურადღება მიიპყროს: სექტემბერში ვლადიმერ პუტინმა აშშ-ს შესთავაზა გააგრძელონ შეზღუდვა შორი მოქმედების ბირთვულ იარაღზე ერთი წლით მაინც, 2026 წლის თებერვლიდან დაწყებული. დონალდ ტრამპმა ამ იდეას „კარგი“ უწოდა.

**გასულ კვირას ვლადიმერ პუტინმა „ახალი იარაღით“ წაიტრაბახა – ბირთვულძრავიანი რაკეტა „ბურევესტნიკით“, რომლის შესახებაც მან პირველად 2018 წელს განაცხადა – უძლიერესი რაკეტის გამოცდას ვიწყებთ, რომელიც აშშ-ის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვას გადალახავსო (გამოდის, რომ გამოცდა ექვსი წელი გრძელდებოდა!). ასეთი იარაღი წარმოჩენილია როგორც გარანტია რუსეთისთვის, რომელსაც შეუძლია მუდმივად ემუქრებოდეს ამერიკას უცილობელი (ურთიერთ)განადგურებით – მიუხედავად იმისა, რომ დონალდ ტრამპი აქტიურად ცდილობს გაძლიერებული ანტირაკეტული ფარი შექმნას, სახელწოდებით „ოქროს გუმბათი“ (ისრაელის „რკინის გუმბათის“ მსგავსად).**

შესაძლოა, ახალი სამხედრო ბირთვული შეიარაღების („ბურევესტნიკისა“ და „პოსეიდონის“) ის გამოცდები, რომლის შესახებაც ერთი კვირის წინათ ვლადიმერ პუტინმა საზოგადოებას ამცნო, მანამდე იყო დაგეგმილი, სანამ თეთრ სახლსა და კრემლს შორის ურთიერთობა გაფუჭდებოდა.

**„ვფიქრობ, გამოცდები ამასწინანდელ პოლიტიკურ მოვლენებს არ უკავშირდება“,** – ამბობს „ნიუ-იორკ თაიმსთან“ საუბარში უკრაინელი ანალიტიკოსი **პაველ პოდვიგი,** რომელიც ჟენევაში არსებულ რუსეთის ბირთვული ძალების შემსწავლელ ცენტრს ხელმძღვანელობს, – **„ვლადიმერ პუტინს შეეძლო ამ ფაქტის გამოცხადებისას პირდაპირ და ღიად დამუქრებოდა ამერიკას, მაგრამ მან ეს არ გააკეთა“.**

**„რუსეთს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან, 1960-იანი წლებიდან აქვს იმდენი ბირთვული იარაღი, რითაც აშშ-ის განადგურება შეუძლია“,** – აღნიშნავს **ჯეიმს ექტონი,** აშშ-ის კარნეგის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, – **„აშშ-ის მოწყვლადობა რუსეთის მხრიდან ობიექტური ფაქტია და არა ჩვენი არჩევანი. ჩვენც გვაქვს რუსეთის გასანადგურებელი იარაღი. ამრიგად, ვფიქრობ, ის, რომ რუსეთი სულ ახალ და ახალ იარაღს ქმნის ბირთვულ საფუძველზე, ჩვენ მაინცდამაინც არ უნდა გვაღელვებდეს, ვიდრე თვითონ ბირთვული ბალანსის რეალობა. მთავარია, რომ ბირთვული წონასწორობა ატომური ქობინების რაოდენობის სახით დაცულია“.**

თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ბურევესტნიკისა“ და „პოსეიდონის“ კონსტრუქციები (ორივე ბირთვულძრავიანია, ატომური რეაქტორებით) განსაკუთრებით სახიფათოა. „ბურევესტნიკი“ „მფრინავ ჩერნობილად“ არის შერაცხული. „ჩერნობილი“ უკრაინაში საბჭოთადროინდელ ატომურ ელექტროსადგურს ნიშნავს, რომელმაც 1986 წელს კატასტროფა განიცადა და რეგიონი რადიაქტიური ნივთიერებით ძლიერ დაასნებოვნა, დაიღუპა ათეულობით ადამიანი. ამჟამად აესი გაუქმებულია და სარკოფაგით არის გადახურული.

ახალი რუსული სამხედრო ტექნიკიდან მომდინარე ბირთვული დასნებოვნების საფრთხემ ევროპელი ლიდერები თავისთავად უნდა განაწყოს სამოქმედოდ. „არ გამოვრიცხავ, რომ პუტინის მოქმედება „ჭკუიდან შეშლილის“ ერთგვარ სტრატეგიას წარმოადგენს“, – „მაგალითად, ასეთს: **თქვენ იწყებთ „განკითხვის დღის“ იარაღის შექმნას და მის გამოცდას, ამით ქმნით შთაბეჭდილებას, რომ მას აუცილებლად გამოიყენებთ“...**

რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის – სენატის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმერ ჯაბაროვმა გასულ პარასკევს ინტერვიუში განაცხადა, რომ ახალი სამხედრო ბირთვული ტექნიკის გამოცდამ აუწყა დასავლელ ლიდერებს, რომ მათ მოსკოვთან მოლაპარაკება უნდა დაიწყონ.

**„ყველაზე მთავარი ისაა, რომ მოვახდინეთ ჩვენი ძალის და იმავდროულად სურვილის დემონსტრირება, რომ დასავლეთი მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დაჯდეს. ფაქტიურად, დაპირისპირება დაუსრულებელი გახდა. ჩვენ კონფრონტაციის დამთავრება გვინდა. დროა დავიწყოთ ერთმანეთის მოსმენა. [ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ] რუსეთი, რომელსაც ისეთი იარაღი აქვს, როგორიც „ბურევესტნიკია“, ფაქტიურად დაუმარცხებელი და უძლეველია“,** – ხაზი გაუსვა **ვლადიმერ ჯაბაროვმა.** სენატორმა გაიხსენა ის მოთხოვნები, რომლებიც რუსეთმა უკრაინას წაუყენა ომის დაწყების წინ და აღნიშნა, რომ **„დასავლეთი, რომელმაც დაინახა ახალი რუსული იარაღის ძალა, უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ დროა რუსეთის არგუმენტებს მოუსმინოს“.**

მიხვდა თუ არა ვაშინგტონი მოსკოვის მიერ ნართაულად ნათქვამს, ოფიციალურად ჯერჯერობით უცნობია. ვლადიმერ პუტინის განცხადების შემდეგ დონალდ ტრამპმა თავის სოციალურ ქსელში დაწერა, რომ აშშ განაახლებს ბირთვული იარაღის გამოცდებს „თანასწორ საფუძველზე“. ამ კომენტარმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია – მართლაც განაახლებს თუ არა აშშ ბირთვულ გამოცდებს, რომელიც 1992 წელს შეწყვიტა.

**თუმცა საყურადღებოა, რომ ვლადიმერ პუტინმა მხოლოდ რაკეტის როგორც ბირთვული იარაღის მიმტანი საშუალების გამოცდა განაცხადა და არა თვითონ ბირთვული იარაღისა. მოსკოვმა ატომური ბომბის უკანასკნელი გამოცდა 1990 წელს შეწყვიტა – ორი წლით ადრე აშშ-სთან შედარებით.**



GETTY IMAGES/BBC

# სად გადაასახლეს პრინცი ენდრიუ?

**„დიდი ბრიტანეთის სამეფოს ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა - მეფე ჩარლზ მესამის უმცროსი ძმა ენდრიუ მაუნთბეტენ-ვინძორი (რომელიც ხუთშაბათამდე პრინც ენდრიუს სახელით მოიხსენიებოდა), პრინცის ტიტულის ჩამორთმევის შემდეგ, ვინძორის სასახლიდან სამეფო მამულ სანდრინგემში საცხოვრებლად გადავა. ეს მამული დედაქალაქიდან 225 კილომეტრში მდებარეობს – საკმაოდ შორს მეფე ჩარლზ მესამიდან და დედოფალ კამილასაგან, ასევე პრინც უილიამისაგან და პრინცესა ქეითისაგან, რომლებიც ლონდონში არსებულ ვინძორის სასახლეში ცხოვრობენ“,** – ნათქვამია ბრიტანული სამაუწყებლო კომპანიის **„ბიბისის“ (BBC)** ვებ-საიტზე გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით **„ციმბირის ბრიტანული სამეფო ანალოგი“: სად „გადაასახლეს“ ენდრიუ, რომელიც პრინც-ჰერცოგი აღარ არის“.**

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

BBC

**ბრიტანეთის მეფემ თავის ძმას პრინცისა და იორკის ჰერცოგის ტიტული, ასევე სხვა სამეფო რეგალიები, მათ შორის ვიცე-ადმირალის სამხედრო წოდება ჩამოართვა და სთხოვა, რომ ვინძორის სასახლე დაეტოვებინა – მას შემდეგ, რაც ახალი მონაცემები გამოქვეყნდა მისი კავშირების შესახებ გარდაცვლილ ფინანსისტ-პედოფილთან, სექს-დამნაშავე ჯეფრი ეპშტეინთან, რომელსაც არასრულწლოვანი გოგონების გაუპატიურების გამო პატიმრობა მიუსაჯეს და რომელმაც 2019 წელს საკანში თავი ჩამოიხრჩო.**

**ცნობისათვის:** პრინცი ენდრიუ ფინანსისტ ჯეფრი ეპშტეინს და მის მეგობარ ქალს გისლენ მაქსველს, აგრეთვე ამერიკელ პროდიუსერს ჰარვი ვაინშტეინს (ასევე სექს-მოძალადეს და დამნაშავეს) თავის სამეფო სახლში (Royal Lodge) იღებდა და მეგობრულად მასპინძლობდა ხოლმე, მათ შორის პრინცესა ბეატრისეს დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზეც, 2006 წელს, როცა პრინცესა 18 წლის გახდა. გარდა ამისა, პრინც ენდრიუს სექსუალური ცხოვრების ამორალურმა ფაქტებმა დიდ ბრიტანეთში და საერთოდ მთელ მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია.

როგორც BBC-ის ჟურნალისტს სამეფო ბიოგრაფმა რობერტ ჰარდმანმა აცნობა, რამდენიმე დღის წინ ბევრი ვარაუდობდა, რომ ენდრიუ, ვინძორის სასახლის კომპლექსში, უბრალოდ, საცხოვრებელ ადგილს შეიცვლიდა და „ფროგმორ-კოტეჯში“ გადავიდოდა.

**„მაგრამ არა, იგი საერთოდ გადადის ვინძორის სასახლიდან, ტოვებს ბერქშირის საგრაფოს. ენდრიუ ფაქტიურად გადაასახლეს იმ ადგილში, რომელსაც ბრიტანული ციმბირი შეიძლება ვუწოდოთ, სადაც იგი სიცოცხლის დარჩენილ წლებს გაატარებს“,** – აღნიშნა **რობერტ ჰარდმანმა.**

ნორფოლკის საგრაფოში მდებარე სანდრინგემის სამეფო მამული დაახლოებით 80 კვადრატული კილომეტრის ფართობის მქონეა – თითქმის იმდენის, რამდენიც, ვთქვათ, ბრიტანეთის ქალაქებს ნოტინგემს და ბრაიტონს აქვთ. მამული სამეფო ოჯახმა 1862 წელს იყიდა ქალაქგარე რეზიდენციის სახით მომავალი მეფის ედუარდ VII-სათვის, რომელსაც იმ დროს ჯერ კიდევ უელსის პრინცი ალბერტი ერქვა. მას შემდეგ სანდრინგემის მამული ერთი მონარქის კუთვნილებიდან მომდევნო მონარქის კუთვნილებაში გადადიოდა.

ენდრიუსთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი სკანდალებიდან განსაკუთრებით გახმაურებული აღმოჩნდა ვირჯინია ჯუფრეს სიკვდილის შემდგომი მემუარები, რომელმაც თავი მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოიკლა. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი ვირჯინია ჯუფრე ფინანსისტ ჯეფრი ეპშტეინის მიერ ჩათრეული იყო სექსუალურ ექსპლოატაციაში. წიგნში გადმოცემულია ვირჯინიას ბავშვობა და აღწერილია სამი შემთხვევა, როცა, მისი მტკიცებით, არასრულწლოვან ასაკში სექსი ჰქონდა ენდრიუსთან.

ენდრიუ არაერთგზის უარყოფდა ბრალდებას, რომელიც მას ვირჯინია ჯუფრემ წაუყენა. 2022 წელს ენდრიუმ ვირჯინიას ფულადი კომპენსაცია გადაუხადა სამოქალაქო საჩივრის სასამართლოს გარეშე დარეგულირების ჩარჩოებში. მართალია, 65 წლის ენდრიუს პრინც-ჰერცოგის ტიტული ჩამოართვეს, მაგრამ იგი როგორც მონარქის შვილი, რიგით მერვე ადგილს ინარჩუნებს ტახტის მემკვიდრეებში.

ტახტის მემკვიდრეების რიგითობა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონით რეგულირდება და იმავდროულად საჭიროა თანხმობა ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი სხვა ქვეყნებისაგან, მაგალითად, კანადისა და ავსტრალიისაგან. თავის მხრივ, ბრიტანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ არ აპირებს რაიმე ცვლილება შეიტანოს ტახტის მემკვიდრეობის წესებში.



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

# უიტნი ჰიუსტონი – ფენომენალური ხმის მომღერალი

**ამერიკული კინოსა და ტელევიზიის მსახიობი, პოპის, სოულის და რიტმ-ენდ-ბლუზის ბრწყინვალე მომღერალი, პროდიუსერი და ფოტომოდელი, კომერციულად ერთ- ერთი ყველაზე წარმატებული შემსრულებელი მსოფლიო მუსიკის ისტორიაში უიტნი ელისაბედ ჰიუსტონი, ცნობილია თავისი მუსიკალური მიღწევებით, ვოკალური შესაძლებლობებით და სკანდალური პირადი ცხოვრებით.**



**დაიბადა 1963 წლის 9 აგვისტოს ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ნიუარკში. იგი ჯონი და სისი ჰიუსტონების ოჯახში ბოლო, მესამე შვილი იყო. ჰიუსტონის დედა სისი და მისი დეიდაშვილი დაიუნ უორნიკი რიტმ-ენდ-ბლუზის, სოულის და გოსპელ მუსიკის ცნობილ სახეებად გვევლინებოდნენ. ასეთი გარემოცვის პირობებს არ შეიძლება გავლენა არ ჰქონოდა ჰიუსტონის მომავალ ცხოვრებასა და კარიერაზე. უკვე თერთმეტი წლისა ნიუ-იორკის „ახლი იმედის ეკლესიის“ მცირე გოსპელ-გუნდის სოლისტია.**

ახალგაზრდობის პერიოდში სამსახიობო გარემოცვაში საქმიანობს. იგი ძალიან ბევრს მოგზაურობს თავის დედასთან ერთად, რა დროსაც მომღერლის პირველ ნაბიჯებს დგამს, გამოდის როგორც ბეკ-მომღერალ ჩაკი ხანთან, ასევე მონაწილეობს მოზარდი ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ სარეკლამო გადაღებებში.

1980-იანი წლების დასაწყისში მას უკვე ორი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული ხმისჩამწერ კომპანიებთან. თუმცა ყველაზე სერიოზული წინადადება მას 1983 წელს დედასთან ერთად ჰქონდა ნიუ-იორკის ერთ-ერთ ღამის კლუბში, სადაც მას კლუბის წარმომადგენელი არისტა რეკორდსი შეამჩნევს და ჰიუსტონს კლუბის ხელმძღვანელ კლაივუ დევისთან რეკომენდაციას უწევს. დევისი მისით აღფრთოვანებულია და სრულიად ახალგაზრდა შემსრულებელთან კონტრაქტს აფორმებს. იმავე წელს უიტნი ჰიუსტონი იმ დროს ქვეყანაში პოპულარულ „მიორკა გრიფინის“ სატელევიზიო შოუში იღებს მონაწილეობას სიმღერით „ჰოუმ“.

1985 წლის თებერვალში გამოდის მისი სახელობის სადებიუტო ალბომი-უიტნი ჰიუსტონი. დასაწყისში იგი ნაკლებად გაყიდვადი იყო. მეორე სინგლის „იუ გივ გუდ ლავ“ გამოსვლის შემდეგ, რომელიც ამერიკული ჩარტის – ბილბოარდ ნოტ100-ში მესამე ადგილს და სხვა ჩარტებში პირველ ადგილს იკავებს. მისი ალბომი გაყიდვების და პოპულარობის რეიტინგში აღმასვლას იწყებს.

ჰიუსტონი მრავალ პოპულარულ, პირველ რიგში, შავკანიანი შემსრულებლებისთვის დახურულ საღამო შოუებში იღებს მონაწილეობას. მისი მომდევნო სინგლი – რომანტიკული ბალადა „სეივინგ ოლ მაი ლოვ ფორ იუ“ აუდიტორიისთვის აღმოჩენა ხდება და „დე გრეიტესტ ლოვ ოფ ოლლ“-ის პოპ და რიტმ-ენდ-ბლუზის ჩარტში პირველ ადგილს იკავებს, რითაც ახალგაზრდა ჰიუსტონი ფართო აუდიტორიის მომღერლად იქცა.

1986 წელს უიტნი ჰიუსტონის ალბომის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, იგი ჩარტი ბილბორდ 200-ის სათავეში მოექცა და ეს პოზიცია შეინარჩუნა მომდევნო 14 კვირას. ალბომმა საერთაშორისო კომერციულ წარმატებას მიაღწია, რომლის 13 მილიონი ცალი მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიყიდა და დამწყები მომღერლების კატეგორიაში ყველაზე გაყიდვადი და მოთხოვნადი ალბომი გახდა. თვით ალბომმა კრიტიკოსების დადებითი შეფასება მიიღო, უიტნი ჰიუსტონმა კი ქება დაიმსახურა. ჟურნალმა „როლინგ სტოუნმა“ იგი ბოლო წლებში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ხმად და ახალ მოვლენად ჩათვალა.

იმავე წელს მომღერალი თავის პირველ „დე გრეიტესტ ლოვ“ ტურნეში გაემგზავრა და თავისი პირველი ჯილდო „გრემი“ მიიღო და „საუკეთესო პოპ-შემსრულებლის“ კატეგორიაში, ასევე დაჯილდოვდა „ემმით“ და მტვ-ზე ვიდეოკლიპის ჩვენებით.

ჰიუსტონის დებიუტი შეტანილია „ყველა დროის“ საუკეთესოთა სიაში. მისი მეორე ალბომი 1987 წლის ივნისში გამოდის და შემსრულებლებს შორის პირველ ალბომად იქცა „ბილბორდ 200“-ის ჩარტში ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში. ალბომის ოთხმა სინგლმა პირველი ადგილი დაიკავა „ბილბორდ ნოტ 100“-ის ჩარტში, ხოლო მომდევნო შვიდმა სინგლმა ნომერ პირველი ჩარტის სტატუსი დაიმსახურა. აღნიშნულმა სინგლებმა ამერიკის ჩარტის სერტიფიკატი 9-ჯერ მოიპოვა და დაახლოებით 26 მილიონი ცალი გაიყიდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა ბევრი კრიტიკოსი აღნიშნავდა, რომ ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ წინა ალბომებისაგან. ჟურნალი „როულინგ სტოუნი“ აღნიშნავდა, რომ „ფართოვდება ვიწრო გზა, რომლის მეშვეობითაც ეს ნიჭი მიემართება“.

1988 წელს ჰიუსტონმა თავისი მეორე „გრემი“ მოიგო იმავე კატეგორიაში და მონაწილეობა მიიღო ტურნეში, იმავე წელს „ენბისი“-მ სეულის ზაფხულის ოლიმპიადისთვის ჩაწერა მისი სიმღერა-„ვან მომმენტ ინ ტიმე“, რომელმაც ამერიკულ ჩარტში მე-5, ხოლო გერმანულ და ბრიტანულში პირველი ადგილები დაიკავა. მიუხედავად პირველი ორი ალბომის საერთაშორისო წარმატებისა, ბევრი აფროამერიკელი კრიტიკოსი აღნიშნავდა: – ეს ალბომი იმიტომ იყიდებოდა კარგად, რომ მის მიერ შესრულებუილი მუსიკა „ნამეტანი თეთრი“ იყო. ასევე აღნიშნავდნენ, რომ ცოცხალი შესრულებისგან განსხვავებით, მის ჩანაწერებს არ ყოფნიდა შინაგანი სულიერება. 1989 წელს ერთ-ერთ კონკურსში ჰიუსტონის ნომინირების გამო, მაყურებელი მას სტვენით შეხვდა. აღნიშნულ კრიტიკას უიტნიმ ასე უპასუხა: „თქვენ თუ გინდათ ხანგრძლივი კარიერა, ეს გარდაუვალი გზაა და მე მას მივუყვები. ამაში საჩოთიროს ვერაფერს ვხედავ“. ამასთანავე, მომღერალმა გადაწყვიტა თავისი მუსიკისთვის ახლებური ჟღერადობა მიეცა.



მოღერლის მესამე სტუდიური ალბომი გამოვიდა 1990 წლის ნოემბერში. მის შექმნაში მონაწილეობდნენ ისეთი დიდი ხელოვანები, როგორებიც იყვნენ სტივი უანდერი, ლუტერ ვანდროსი, ელ-ეი რიდი, ბები ფეისი. ალბომმა მომღერალი წარმოაჩინა როგორც მკაცრი რითმული კომპოზიციის, ასევე მელოდიური ბალადის და საცეკვაო მუსიკის შესანიშნავი შემსრულებელი. ალბომმა ბილბორდ 200-ში მესამე ადგილი დაიკავა და ამერიკის ოთხჯერადი პლატინის სერტიფიკატი მიიღო. მსოფლიოს მასშტაბით 10 მილიონი გაიყიდა, თუმცა კომერციული თვალსაზრისით ეს ალბომი ცუდად იყიდებოდა, ვიდრე წინა ორი. მან კრიტიკის ქებაც დაიმსახურა, იგივე „როულინგ სტოუნმა“ იგი უიტნი ჰიუსტონის „საუკეთესო და ყველაზე მიზნობრივ ალბომად“ დაასახელა.

ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ლიგის ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინ ჰიუსტონმა 1991 წლის იანვარში შეასრულა სიმღერა „დე სტარ სპენგელდ ბენნერ“. ამ სიმღერის ჩანაწერი გამოშვებულ იქნა როგორც კომერციული სინგლი, რომელიც ამერიკის მასშტაბით ოცეულში შევიდა. ამ პერიოდიდან მომღერალი ქველმოქმედებას იწყებს და თავისი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს ამერიკის წითელ ჯვარს ურიცხავს. 10 წლის შემდეგ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტთან დაკავშირებით სიმღერა ხელახლა გამოიცა.

1992 წლის ნოემბერში მისი წარმატებული დებიუტი შედგა კინოში „პირადი მცველი“ კევინ კოსტნერთან ერთად. ჰიუსტონმა ამ ფილმისთვის ექვსი სიმღერა დაწერა, რომლებიდანაც ერთ-ერთი მთავარი სიმღერა – ქანთრი „ოლვეის ვილლ ლოვე იუ“ წარმოადგენდა. ამ სიმღერას ზოგიერთი პროდიუსერი სკეპტიკურად უყურებდა რადიოში სუსტი როტაციისა და აკაპელას შენელებული დასაწყისის გამო. მიუხედავად ამისა, სინგლის სახით ამ სიმღერის გამოშვებამ ჰიუსტონს გრანდიოზული ტრიუმფი მოუტანა. ეს ნაწარმოები – „ბილბორდ ნოტ-100“-ის ჩარტის სათავეში მოექცა 14 კვირის განმავლობაში. იგი ჰიუსტონის ყველაზე წარმატებულ და მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. აღნიშნული სინგლი დღევანდლამდე ყველაზე გაყიდვად ნაწარმოებად ითვლება ქალ შემსრულებლებს შორის. ალბომმა ამერიკის პლატინის სერტიფიკატი 17-ჯერ მიიღო და 43 მილიონი ცალი გაიყიდა, იქცა რა ყველაზე მოთხოვნად საუნდტრეკად ხმისჩამწერი ინდუსტრიის ისტორიაში. უიტნი ჰიუსტონმა სამი „გრემის“ პრემია მოიგო „წლის ალბომის“ და „წლის ჩანაწერის“ ნომინაციების ჩათვლით.

1995 წლის დეკემბერში გამოდის მისი საუნდტრეკი, შექმნილი ფილმისთვის „ამოსუნთქვის ცდაში“. 1996 წლის ბოლოს ჰიუსტონმა ეკლესიის გუნდთან ერთად ჩაწერა გოსპელის სტილის საუნდრეკი ფილმისთვის „მქადაგებლის ცოლი“, რომელიც აღნიშნული სტილის ალბომებს შორის ყველაზე მოთხოვნადი გახდა. ამ ნამუშევარმა დადებითი რეცენზიები დაიმსახურა, ზოგიერთ მათგანში აღნიშნავდნენ მომღერლის განსაკუთრებულად ღრმა შინაგან ემოციას და მის ფენომენალურ ხმას.

1997 წელს ჰიუსტონმა ვაშინგტონში გამართა კონცერტი, რომელიც გადაიცემოდა ნვო-ს მეშვეობით. ცნობილ ხიტებთან ერთად მან შეასრულა ისეთი აღიარებული მომღერლების კლასიკური კომპოზიციები, როგორებიც იყვნენ: ანეტა ფრანკლინი, ბილი ხოლდეი და დაიანა როსი. მოგვიანებით იგი გადაიღეს ფილმში „კონკია“, სადაც ორი სიმღერა შეასრულა.

2000 წლის გაზაფხულზე გამოდის უიტნის საუკეთესო სიმღერების კრებული. ამავე დროს გამოშვებულ იქნა მისი სახელობის დივიდი. იმავე წელს ჰიუსტონი სატელევიზიო კონცერტით გამოვიდა „არისტა რეკორდსის“ 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. 2001 წლის აგვისტოში მან ექვსი ალბომის გამოშვებისათვის ახალი კონტრაქტი გააფორმა 100 მილიონ დოლარზე „სონი ბმჯ“-ისთან, რომელიც ყველაზე მსხვილი ხელშეკრულება იყო მუსიკის ინდუსტრიის ისტორიაში.

2002 წლის ბოლოს, ჰიუსტონის გახმაურებულ ნარკოდამოკიდებულების ფონზე, იგი მეხუთე ალბომს უშვებს. მუსიკალური კრიტიკოსები უკმაყოფილოები იყვნენ წარმოდგენილი სიმღერებით. ალბომი უიტნისათვის წამგებიანი აღმოჩნდა. 2003 წლის ბოლოს ჰიუსტონი პირველ საშობაო ალბომს უშვებს. რეცენზიები წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა – მისი ხმის ცვალებადობიდან მოყოლებული, სიმღერის „მეტეორული კრეშჩენდოთი“ დამთავრებული. ალბომი ნაკლებად გაყიდვადი აღმოჩნდა. 2004 წელს ჰიუსტონი ნატალი კოულთან და დაიმონ უორვიკთან ერთად ტურნეს მართავს ევროპაში, ასევე შუა აღმოსავლეთში, რუსეთსა და აზიაში. სექტემბერში მან სიურპრიზი შესთავაზა მსმენელს, საკონცერტო გამოსვლა მიუძღვნა თავის აღმზრდელსა და მეგობარს კლაივა დევისს. მაყურებელი მას ფეხზე ამდგარი მიესალმა.

2009 წლის ზაფხულში, ექვსწლიანი მიჩუმათების შემდეგ, რომელსაც ამ ხნის მანძილზე თან სდევდა ხმაური და განცხადებები მოსალოდნელი ახალი ჩანაწერების შესახებ, გამოდის მისი მე-7 სტუდიური ალბომი, რომელმაც ბილბორდ 200 ჩარტში პირველი ადგილი დაიკავა და ერთ კვირაში 305 ათასი ცალი გაიყიდა.

ჰიუსტონი პირველ ინტერვიუს აძლევს ოპრა უინფრს, რომელიც ორ ნაწილად იქნა ტრანსლირებული. ოპრამ აღნიშნულ ინტერვიუს უწოდა – „ყველაზე მოსალოდნელი ინტერვიუ, რომელიც მან ოდესმე აიღო“. ამავე წლის შემოდგომაზე მომღერალი ევროპის ტელეგადაცემებში გამოჩნდა, სადაც თავის ახალ ალბომს უკეთებდა რეკლამას. ოქტომბერში მსოფლიო ტურნეში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში გამოვიდა. 2010 წელს მისი პირველი სადებიუტო ალბომის 25 წლის საიუბილეო ვარიანტი გამოიცა.

რაც შეეხება მომღერლის პირად ცხოვრებას, იგი დიდი წინააღმდეგობებით და ტრაგედიით სავსე იყო. მის მეუღლეს ბობი ბრაუნსს წლების განმავლობაში განხეთქილება და დავა ჰქონდა თავის სამ შვილთან, რომლებიც სხვადასხვა ქორწინებებიდან ჰყავდა. მას არაერთ დანაშაულზე, მათ შორის ნარკოტიკების მოხმარებაზე, ხშირად უწევდა ციხეში ყოფნა. უიტნის და ბრაუნს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ. კრისტინა 1993 წლის 4 მარტს დაიბადა, რომელიც 2015 წელს 22 წლის ასაკში პნევმონიით გარდაიცვალა.

ფენომენალური ხმის მქონე უიტნი ჰიუსტონი გარდაიცვალა 2012 წლის 11 თებერვალს, ჭარბი რაოდენობის ნარკოტიკების მოხმარების მიზეზით, 49 წლის ასაკში. იგი მისივე სურვილით, მამის გვერდით, ნიუ-ჯერსში დაკრძალეს. მისი ხსოვნის პატივსაცემად ამავე შტატის გუბერნატორის განკარგულებით ყველგან ეროვნული დროშა იქნა დაშვებული. ამგვარ პატივს ჩვეულებრივ, მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწეს მიაგებდნენ ხოლმე. გარდაცვალებიდან სულ მალე ჰიუსტონი როკ-ნ-როლის სახელოვანთა დარბაზში იქნა შეყვანილი.



**გელა ქოქიაშვილი,**
**ხელოვნებათმცოდნე, მეცნიერების ასოცირებული დოქტორი, მწერალთა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი.**

# კარგი ამბები

## ძალოსნობა

**დურესი (ალბანეთი).** 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. 3 **ოქრო** – გოგა ჯაჯვანი (94 კგ) – ატაცი, აკვრა, ორჭიდი. **ვერცხლი** – გერვასი თაზაგარი (94 კგ) – აკვრა. **2 ვერცხლი** – ნანა ხორავა (77 კგ) – ატაცი, ორჭიდი. **3 ვერცხლი** – მარიამ მურღვლიანი, **23-წლამდელები** 88 კგ. 2 ოქრო, 1 ვერცხლი – **ზურაბ მსხალაძე.** თითო ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო – **მანუჩარ გოგოხია.**

შეგახსენებთ, რომ წინა დღეებში უმცროს თანატოლებთან და რკინასთან ბრძოლაში კონტინენტური მიღწევებით 3 ოქრო **ლევან ოჩიგავამ** მოიხვეჭა (88 კგ), ხოლო **გიგა ოდიკაძემ** 60 კილოში მედლების სრული კომპლექტი დაიმსახურა – **ოქრო** ატაცში ევროპის რეკორდით, **ვერცხლი** ორჭიდში და ბრინჯაო აკვრაში.



მერაბ სულეიმანაშვილი



მარიამ მურღვლიანი

## თავისუფალი ჭიდაობა

**ნოვი სადი (სერბეთი).** მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. **ვერცხლი** – მერაბ სულეიმანაშვილი (97 კგ).

## ძიუდო

**კიშინიოვი (მოლდოვა).** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. **ვერცხლი** – მათე გოგობერიშვილი (60 კგ), მათე ბერუაშვილი (73 კგ). **ბრინჯაო** – ნინო ლოლაძე (57 კგ), კოტე კაპანაძე (81 კგ) და შალვა გურეშიძე (+100 კგ.

უკვე გაუწყეთ, რომ მეორე დღეს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი **გიორგი ჯაზნიაშვილის** (90 კგ) ტრიუმფის აღსანიშნავად გაჟღერდა, ხოლო შერეულ გუნდურ ფორუმში ჯვაროსნებმა შარშანდელი ტიტული დაიცვეს.

# კვარას აჩრდილი

**„იუვენტუსის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ ქენან ილდიზის თვისებებზე და შესაძლებლობებზე საუბრისას ხვიჩა კვარაცხელია გაიხსენა.**

როგორც იტალიელმა სპეციალისტმა აღნიშნა, კვარას აქვს ის თვისებები, რომელსაც თურქ შემტევში ხედავს.

**„გამიმართლა, რომ კარიერაში რამდენიმე დიდებული ფეხბურთელი მყავდა. ერთ-ერთი ყველაზე ახლო წარსულიდან, ვისაც შეგვიძლია შევადაროთ – კვარა იყო, ვისაც მსგავსი თვისებები ჰქონდა. ალბათ, ყველაზე ნაკლებად ცნობადი, ფენომენალური ფეხბურთელი, ტოტო დი ნატალე იყო, რომელსაც მსოფლიოს საუკეთესო გუნდებში თამაში შეეძლო. ვარჯიშებზე ისეთ რაღაცებს აკეთებდა. თამაშებზეც, მაგრამ მწვრთნელის ბედნიერება ისაა, რომ ამ ყველაფერს ვარჯიშებზე ხედავს, გულშემატკივრებს კი ამის საშუალება არ აქვთ. კიდევ კარგი, ახლა სოციალური ქსელებია და ვარჯიშის ვიდეოებიც ვრცელდება. ილდიზიც ასეთია, რომელიც სეზონის განმავლობაში ინსტაგრამის გვერდებს ავსებს"**, – თქვა სპალეტიმ.



**შეგახსენებთ, რომ ლუჩანო სპალეტიმ ხვიჩა კვარაცხელიასთან ერთი სეზონი იმუშავა და სამწვრთნელო კარიერაში ერთადერთი სკუდეტო სწორედ მაშინ მოიგო.**



# ჭიკაძე ბრუნდება

**UFC-ის ქვემსუბუქი დივიზიონის ქართველი მებრძოლი გიგა ჭიკაძე ოქტაგონში ბრუნდება. როგორც უკვე ოფიციალურად დადასტურდა ჭიკაძე UFC Vegas 112-ზე იბრძოლებს და მისი მეტოქე არგენტინელი კევინ ვალეხოსი იქნება.**

ქართველი მებრძოლი ბოლო ორი შეხვედრაა მარცხდება, ჭიკაძემ ჯერ 2024 წელს **არნოლდ ანელთან**, ხოლო 26 აპრილს **დევიდ ონამასთან** წააგო მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით.

რაც შეეხება გიგას მეტოქეს, ვალეხოსს ბოლო ხუთი ბრძოლა აქვს მოგებული და ძალიან კარგ ფორმაშია. არგენტინელმა ბოლო ბრძოლა 2023 წელს წააგო.

**შეგახსენებთ, რომ გიგა ჭიკაძისა და კევინ ვალეხოსის ბრძოლა 14 დეკემბერს გაიმართება.**

---

ჟურნალისტის ხელხვავი

# გიორგობისთვე სულიერად გაგვიმდიდრა



რამდენიმე დღის წინათ ისეთი ფაქტი მოხდა, გარაქიან შემოდგომას რომ უხდება, ამიტომ პირველ წინადადებასაც შესაბამისი სიტყვით დავამშვენებ და სიამოვნებით გაუწყებთ: რედაქციაში სავსე შემოქმედებითი ხურჯინით ჩვენი ძვირფასი კოლეგა და მეცნიერი **ვაჟა დანელია** გვეწვია.

უამრავი წიგნის ავტორისგან მსგავსი ხასიათის ვიზიტი, აბა, რა გასაკვირია, მაგრამ, როცა ერთბაშად მეგობარი კალმოსნის 3(!) სხვადასხვა პროფილის კრებულზეა საუბარი, დაგვეთანხმებით, მათი ერთ ყალიბში მოქცევა და თითოეულზე საკადრისი სტრიქონების შერჩევა იოლი ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ, რადგან ცდა ბედის მონახევრეა, გავბედოთ, მით უმეტეს, ეს ზნეკეთილი სამაგალითო მოქართულე ყოველთვის გამოირჩეოდა შენდობის უნარით და, ვიმედოვნებთ, არც ამჯერად იქნება ისეთივე მკაცრი, მაგრამ ამავე დროს ობიექტური გამომცდელი თუ შემფასებელი, როგორადაც უმაღლესი განათლების სისტემაში ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაშია ცნობილი.

მაშ ასე, შევუყვეთ ერთგვარ გოლგოთის გზას, მანამდე კი გაუწყებთ, რომ აღნიშნული სამაგიდო ტრიადა (გნებავთ – ტრილოგია) შპს „საჩინოში" დაიბეჭდა და გამოიცა **მარიკა იანტბელიძის, ლევან** და **გიორგი თარგამაძეების** თანადგომით.

* * *

**„...და გაზაფხულს უხდები".** ლექსების ამ კრებულში თავმოყრილია ჩვენი ეგრისელი თანამედროვის როგორც ძველი, ისე ახალი პოეტური ქმნილებები, რომლებიც მკითხველს ცხოვრების სიღრმისეულ გააზრებას, სიყვარულის უძირო სამყაროსა და სულიერი ძიების საკითხებს, ასევე დღევანდელი ყოფისა და ადამიანური ურთიერთობების წიაღსვლებს სთავაზობს.

„პოეზია ბედისწერაა. თუ პოეტად ხარ დაბადებული, როგორც გინდა მოინდომო, ლექსს ვერსად გაექცევი – ადრე თუ გვიან ის მაინც თავისთან დაგაბრუნებს.

ვაჟა დანელიას საზოგადოება აქამდე იცნობდა როგორც კარგ ჟურნალისტსა და ლექტორს, მეცნიერებათა დოქტორს, ამ წიგნით კი გაიცნობს როგორც ნამდვილად ნიჭიერ პოეტს, რომლის თხზულებებიც ემოციურ და ესთეტიკურ სიამოვნებას განიჭებს" – ვკითხულობთ გამოცემის რედაქტორის, სულმნათი სასიქადულო ლიტერატორის **ვახტანგ ხარჩილავას** წინათქმაში.

**ჭეშმარიტად!**

* * *

**„როცა ობლობა სანატრელია".** ეს გახლავთ მოთხრობებისა და ნოველების კრებული-სარკე, რომელშიც აირეკლება დღევანდელი ქართული ყოფის ხმაურიანი თუ ყუჩი ტკივილები, ის სევდიანი სიმშვიდე, რომელსაც ადამიანებმა ბედნიერება ვუწოდეთ.

ტექსტებიდან ზოგჯერ იუმორით შეფერადებული სევდაც გამოანათებს და არა იმიტომ, რომ ღიმილი იოლია, არამედ ხანდახან იუმორი უფრო გვაახლოებს იმასთან, რაც ლოდივით მძიმეა.

აღნიშნული წიგნი მათთვისაცაა, ვისაც ოდესმე გონებაში ჩარჩენია ფიქრი, რომ ობლობა ყოველთვის „მარტოს" არ ნიშნავს: ზოგჯერ იგი ბევრად უკეთესია, ვიდრე ის, რასაც ყოველდღიურობამ მიგვაჩვია.

ახლა კი გულშიჩამწვდომი ნააზრევის რედაქტორს, პროფესორ **თემურ ჯაგოდნიშვილს** მოვუსმინოთ: „შემოთავაზებულ მინიატიურულ პროზაში მწერალი თავისივე შექმნილი სამყაროს ნაწილია. ამ ნოველებში, მოთხრობებსა და ესსეებში მისი პიროვნული ცხოვრების რეალიებია გაცოცხლებული და ხელმეორედ განცდილი.

ვაჟა დანელიას პროზაში ძლიერია იუმორისტული ნაკადი. იუმორი ხალხურია, ხალასი, გულუბრყვილო, პირდაპირი, მიამიტური, ლამის სკაბრეზულს გადაწნული, მაგრამ არა უხეში და მომაბეზრებელი – უგერგილო.

ავტორთან შესანიშნავად არის აგრეთვე გახსნილი და დადასტურებული პატარა ადამიანის არსებობა ჩვენს დროში; უაღრესად აქტუალურია გასტარბაიტერი ქალების უსასოო ყოფის თემაც, რომელიც ასევე ცხოვრების ფსკერზე მოქცეულ ადამიანებს უკავშირდება; კავშირების რღვევა თაობებს შორის; ფრიად საყურადღებოა ავანტურიზმის, თაღლითობის სენი"...

* * *

**„სასპორტო ტერმინები სიტყვის კონასა და სახელსახებაში".** ეს წიგნი აერთიანებს 2 მნიშვნელოვან თემას, რომლებიც ქართული კულტურისა და სპორტის განვითარების სიმბოლოდ იქცა: პირველი – **სულხან-საბა ორბელიანის** ლექსიკონში არსებული სპორტისა და საბრძოლო ხელოვნების ანალიზი ასახავს, როგორ იდგა ქართული ენა და აზროვნება სასპორტო კულტურის საწყისებთან და მეორე – **გიორგი ნიკოლაძის** სასპორტო სახელსახება და მისი კვლევა წარმოაჩენს ქართველი მოღვაწის მიერ სპორტისა და სპორტის ტერმინოლოგიის განვითარებაში შეტანილ უზარმაზარ წვლილს.

**ავტორისგან:** „სულხან-საბა ორბელიანისა და გიორგი ნიკოლაძის ლექსიკონებში იმალება ქართული ენის მარადიულად გამონათებული განძი, ვითარცა ჩირაღდანი, მანათობლად გზისა ჩვენგან მომავლისაკენ. ამ წიგნებში დავანებული სპორტის ტერმინები არა მხოლოდ სიტყვებია – ისინი ჩვენი ერის სუნთქვაა, ძველი რაინდების სულისკვეთება, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან მოდის და თანამედროვეობამდე აღწევს. თითოეული ტერმინი ცოცხალი ნაწილია იმ დიდი ტრადიციისა, რომელიც ჩვენს წარსულსა და მომავალს ერთმანეთთან აკავშირებს.

ჩვენი დიდი წინაპრები ქართულ ენას ახალ სულს შთაბერავენ და მარადიულობას ანიჭებენ, რათა ჩვენ, მკითხველებმა, ყოველთვის ვიგრძნოთ, რომ ენა ცოცხალი არსებაა, რომელიც ჩვენგანაც სიყვარულსა და ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს".

**მართლაც, რომ იტყვიან, კაკალ გულშიო, თითოეულ აბზაცს შეესაბამება, ბატონო ვაჟა და ამიტომაც გიხდით მადლობას შემოთავაზებული ნაღვაწისათვის, მასწ!**

დავძენთ, რომ აკადემიურ ნაშრომს რეცენზენტებიც ტოლ-სწორი ჰყავს პროფესორ **ვახტანგ მაღრაძისა** და ასოცირებული პროფესორების **გიგლა გობეჩიასა** და **თენგიზ გაჩეჩილაძის** სახით.

**გია პლატონიშვილი**











# გამოვლინდნენ 2024-2025 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებულნი

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორ ნინო წერეთელთან ერთად, 2024-2025 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვა.**

გივი მიქანაძემ მოსწავლეებს მიღწეული წარმატება მიულოცა და მათი შესაძლებლობების გამოვლენის კუთხით ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

მინისტრმა 2025-2026 სასწავლო წლის ოლიმპიადაზეც ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, რეგისტრაცია 4 ნოემბერს დაიწყება და დეტალური ინფორმაცია საზოგადოებისთვის უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

ღონისძიების ფარგლებში ჯამში 48 მონაწილე – პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული მოსწავლე დაჯილდოვდა. გამარჯვებულებს შესაბამის დიპლომებთან ერთად კომპიუტერული ტექნიკის, აქსესუარებისა და სმარტფონების სასაჩუქრე ბარათები გადაეცათ.

2024-2025 სასწავლო წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 29 000-მდე მოსწავლემ. მეორე ტურში – 6 900-მდე მონაწილე, ხოლო მესამე ტურში 660-ზე მეტი მოსწავლე გადავიდა.

გამოვლინდა საუკეთესო შედეგის მქონე ათეული ყველა საგანსა და შესაბამის ასაკობრივ კატეგორიებში. ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამხდარიყვნენ იმ გუნდების წევრები, რომლებმაც საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ოლიმპიადებში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ადმინისტრირებით 2024-2025 სასწავლო წლის ოლიმპიადა ცენტრალიზებულად სამ ტურად ჩატარდა შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ქართულ ენაში (არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის), მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და უცხოურ ენებში.

ოლიმპიადა ჩატარდა ინფორმატიკაშიც, საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებისა და ინფორმატიკის ოლიმპიადების მხარდამჭერი ასოციაციის მიერ.

შეგახსენებთ, რომ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, როგორც საშუალო, ასევე, საბაზო საფეხურის მოსწავლეებს.

სანთელი

# რესან კონცელიძე



**გარდაიცვალა კვების მრეწველობის ყოფილი მინისტრი რესან ხასანის ძე კონცელიძე, ღირსებით გამორჩეული და ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც უზარმაზარი მასშტაბის სამუშაოები განახორციელა საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების მიზნით.**

**დიდია ბატონი რესანის წვლილი დარგში ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და სასურსათო უსაფრთხოების სფეროში განხორციელებულ ღონისძიებებში. მისი მოღვაწეობის დროს შერჩეული კადრები პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ და დარგის ბრწყინვალე ხელმძღვანელებად ჩამოყალიბდნენ.**

**ბატონი რესანის საქმიანობის პერიოდში კვების მრეწველობის სისტემაში დაწყებული წარმატებული, ინოვაციური პროექტები დღესაც ხორციელდება; მათ შორისაა ამიერკავკასიაში დიდი სიმძლავრის ქარხნის „თემქაპურის“ და შვეიცარიული მაკარონის დანადგარის ამუშავება; 90-იან წლებში საწარმოო გაერთიანების „თბილპურის“ ჩამოყალიბება, ასევე, არაერთი ქარხნის რეკონსტრუქცია და გადაიარაღება.**

**რესან კონცელიძე გახლდათ საკუთარ ქვეყანაზე შეყვარებული პატრიოტი, შესანიშნავი მეოჯახე, მეუღლე, მოსიყვარულე ბაბუა და გამორჩეული მეგობარი.**

**საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი რესან კონცელიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს, ახლობლებს და მეგობრებს.**

**გულდასაწყვეტია, როდესაც ასეთი ადამიანები გვტოვებენ. ღმერთმა დაუმკვიდროს ბატონ რესანს ცათა სასუფეველი.**

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის სახელით:

**იური ოსიპოვი, ომარ კაჭარავა, მალხაზ დოლიძე, იოსებ კუხიანიძე, ლევან ჯიბუტი, თენგიზ ბაზერაშვილი, მერაბ გაბუნია, ნინო კიკნაძე, დარეჯან ჩიქვინიძე, მანანა კობერიძე.**



# ქართველი საოპერო მომღერალი იანო ალიბეგაშვილი იტალიის ვარსკვლავის კავალრის ორდენით დაჯილდოვდა

**საქართველოში იტალიის საელჩოს წარდგინებით, ქართველი საოპერო მომღერალი იანო ალიბეგაშვილი იტალიის ვარსკვლავის კავალერის ორდენით დაჯილდოვდა,** – ინფორმაციას ამის შესახებ კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ალიბეგაშვილს ჯილდო იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **სერჯო მატარელამ** იტალიური საოპერო ხელოვნების საქართველოში გავრცელებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისა და ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობების ხელშეწყობისთვის მიანიჭა.

როგორც კულტურის სამინისტრო წერს, ორდენი იანო ალიბეგაშვილს იტალიის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, მასიმილიანო დ'ანტუონომ გადასცა.

**„კულტურის მინისტრის თინათინ რუხაძის ინიციატივითა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა იანო ალიბეგაშვილი კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი – ღირსების ორდენით დააჯილდოვა“,** – ნათქვამია კულტურის სამინისტროს გავრცელებულ ინფორმაციაში.

# 4-8 ნოემბერს თბილისის ვოკალისტთა IV საერთაშორისო კონკურსი OPERA CROWN-ი იმართება

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, 4-8 ნოემბერს თბილისის ვოკალისტთა IV საერთაშორისო კონკურსი OPERA CROWN-ი იმართება.**

პროექტის ორგანიზატორი და მასპინძელია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო პროფესიული თეატრი.

**„წელს 300-ზე მეტი აპლიკანტიდან 41 ახალგაზრდა შეირჩა. მჯერა, საერთაშორისო ჟიური ყველაფერს გააკეთებს, რათა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ახალგაზრდა ხელოვანებს კიდევ გაუხსნას გზა მსოფლიო სცენებისკენ“,** – განაცხადა ვოკალისტთა IV საერთაშორისო კონკურსთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე კულტურის მინისტრმა თინათინ რუხაძემ.



კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, წელს კონკურსში მომღერლები მსოფლიოს 22 ქვეყნიდან მიიღებენ მონაწილეობას. კონკურსანტებს შეაფასებს ჟიური, რომლის შემადგენლობაში მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრებისა და სააგენტოების ხელმძღვანელები არიან.

# თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების თეატრმა ჩინეთში პირველი გასტროლი გამართა



**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა ჩინეთში პირველი გასტროლი გამართა. კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, თეატრი 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს, ქ. შენჭენში, ლუნგმას თეატრალური საზოგადოების კულტურის ცენტრში წარდგა რეჟისორ ნიკოლოზ საბაშვილის საავტორო პროექტით, არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი სპექტაკლით „საქართველო“.**

თეატრალურ დასს ცნობილმა ჩინელმა მსახიობმა და ლუნგმას თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითმა ხელმძღვანელმა, რეჟისორმა და პროდიუსერმა ჭანგ კუოლიმ უმასპინძლა.

# ქართველი ქალი ევროპის ძალოსნობის ფედერაციის მმართველი ორგანოს წევრია



**რუსუდან მურადაშვილი ევროპის ფედერაციის (EWF) გამგეობის წევრი გახდა. ალბანეთში მიმდინარე ახალგაზრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე EWF-ის აღმასრულებელ კომიტეტში პირველ სხდომაზე ის ოფიციალურად წარადგინეს. საქართველოს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი ქალი ევროპის ძალოსნობის ფედერაციის მმართველ ორგანოში შეიყვანეს.**

რუსუდან მურადაშვილი საქართველოს ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციაში 2015 წლიდან მუშაობს, ხოლო ფედერაციის გენერალური მდივნის პოსტს 2019 წლიდან იკავებს. პარალელურად რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ეროვნული ფედერაციის გამგეობაშიც იყო.

# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი „სტუდფესტი 2025“-ის გამარჯვებულია!

**3 ნოემბერს ახალგაზრდული ფესტივალის – „სტუდფესტი 2025“-ის – დახურვის ცერემონია გაიმართა. ღონისძიება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს, ახალგაზრდობის სააგენტოსა და თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით, საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა.**



ფესტივალის ფარგლებში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გამორჩეული შედეგი აჩვენა – მოიპოვა 12 ოქროს მედალი და გაიმარჯვა „საუკეთესო გულშემატკივრის“ ნომინაციაში.

**ფესტივალის ფარგლებში განხორციელდა აქტივობები 40 მიმართულებით, მათ შორის კულტურის, განათლების, სპორტისა და მოხალისეობის სფეროებში. სპორტის მიმართულებით გაიმართა შეჯიბრებები 29 სახეობაში, მათ შორის: 3X3 კალათბურთი, მინი-ფეხბურთი, ჭადრაკი, ნარდი, შაში, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, ბოულინგი, ჩოგბურთი, ფეინთბოლი, ჭომარდობა, 7-კაცა რაგბი, ბადმინტონი, კარტინგი, ფუტსალი, პადელი, დარტსი, სპრინტი, ცურვა, მეკლდეურობა, ქუჩის ფეხბურთი, კიბერსპორტი (FIFA), ხელბურთი, სასტენდო სროლა, ძიუდო, სამბო, მკლავჭიდი და ქართული ჭიდაობა.**

გარდა სპორტული აქტივობებისა, სტუდენტური გუნდები წარმოადგენდნენ შემოქმედებით-საგანმანათლებლო პროგრამებს სამი მიმართულებით: დებატები, ინტელექტუალური თამაში და სითი გეიმი.

ფესტივალის საკონკურსო ნაწილი მოიცავდა აგრეთვე კულტურის ტურებს შვიდი მიმართულებით: ქართული ცეკვის ტური, ხალხური სიმღერის ტური, საესტრადო სიმღერის ტური (სოლო და დუეტები), თანამედროვე ცეკვის ტური, ბენდების კონკურსი და ქართული ლიგა.

ფესტივალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა მოხალისეობის კომპონენტი, რომლის მიზანი იყო სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის განვითარება და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა. აღნიშნულ ნაწილში მონაწილეობდა საქართველოს 17 უნივერსიტეტისა და კოლეჯის სტუდენტები, რომლებმაც სხვადასხვა ქალაქში – თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, გორში, ქობულეთსა და ზესტაფონში – განახორციელეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინიციატივები.

**„სტუდფესტის“ მიზანია სტუდენტური ცხოვრების გააქტიურება და გამრავალფეროვნება, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოტივაციის ამაღლება და მათი ნიჭის რეალიზების ხელშეწყობა.**

# ბრიტანელ ნარკო-ბარიგას ფეხმძიმობამ უშველა!



**საქართველოში ნარკოტიკების შემოტანის ბრალდებით დაკავებული ბრიტანეთის მოქალაქე საპროცესო შეთანხმებით გათავისუფლდა.**

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ **გიორგი გელაშვილმა** მიიღო.

**ბრალდებულმა ბელა მეი კალიმ დანაშაული აღიარა.**

**ბელა მეი კალის დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 500 000 ლარის ოდენობით.**

**კალის, რომელიც ფეხმძიმედ არის, 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.**

# გადაარჩინეს ბავშვი, რომელიც დაბადებისას 300 გრამს იწონიდა

**ეს გერმანიაში, მაგდებურგის საუნივერსიტეტო კლინიკაში მოხდა. ბავშვი ვადაზე 16 კვირით ადრე დაიბადა. თანამედროვე აპარატურისა და სამედიცინო პერსონალის 24-საათიანი მუშაობის შედეგად, ბავშვი გადარჩა. კლინიკის ცნობით, გოგონა ახლა დაახლოებით 2 წლისაა, სრულიად ჯანმრთელი და აქტიურია.**



ახალშობილმა 7 კვირა ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციაზე გაატარა. ის კვებას ინფუზიების მეშვეობით იღებდა და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, რომელსაც ნეონატოლოგების, თერაპევტებისა და ექთნების გუნდი უზრუნველყოფდა.

**ოჯახმა სახლში დაბრუნება მშობიარობის სავარაუდო თარიღიდან მხოლოდ 9 კვირის შემდეგ შეძლო. სერიოზული გართულებები არ ყოფილა – ბავშვს მხედველობაც კი შეუნარჩუნდა და სათვალის ტარებაც არ დასჭირდება.**

**გერმანულ კლინიკაში აღნიშნეს, რომ ზოგადად მსოფლიო პრაქტიკაში, 300 გრამი წონით დაბადებული ბავშვების გადარჩენის შანსი დაახლოებით 25%-ს შეადგენს.**

# არასრულწლოვნის გაუპატიურებისთვის 73 წლის არაკაცი დააკავეს!



**შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1952 წელს დაბადებული მ.ნ. 11 წლის(!!!) გოგოს გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს,** – ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს. **დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

„მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ დანაშაულში ბრალდებულმა პირმა ძალადობის გამოყენებით არასრულწლოვანი თანასოფლელი გააუპატიურა. სამართალდამცველებმა მ.ნ. კასპის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, მისსავე საცხოვრებელ სახლში ბრალდებულის სახით დააკავეს“.

# ოფიცრებმა ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობების შემოტანის ფაქტი აღკვეთეს

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში – „ყაზბეგი“ მებაჟე-ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის, როგორც კუთვნილი ავტომობილის, ასევე ფიზიკური და ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული 1194 გრამი ოქროსა და 18 გრამი ვერცხლის საიუველირო ნაკეთობები გამოავლინეს.**

არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ ჯამში, 260 092 ლარი შეადგინა.

# პოლონეთში დააკავეს 24 წლის ქართველი თაღლითი

**პოლონეთის სამართალდამცველებმა დააკავეს 24 წლის საქართველოს მოქალაქე, რომელიც თავს ბანკის წარმომადგენლად ასაღებდა და პენსიონერს ფულს სძალავდა.**

გამოძიების მიხედვით, მამაკაცი ტელეფონით დაუკავშირდა 60 წლის პენსიონერს და თავი ბანკის თანამშრომლად გააცნო. მან მსხვერპლს უთხრა, თითქოს მის ანგარიშზე არსებული თანხა საფრთხეში იყო და მოითხოვა თანხის „უსაფრთხო ანგარიშზე“ გადატანა BLIK-კოდების (ერთჯერადი კოდების) მეშვეობით.

პენსიონერმა თაღლითს კოდები გაუზიარა, რის შემდეგაც მის ანგარიშზე არსებული თანხა თითქმის 18 ათასი ზლოტი (დაახლოებით 4,000 ევრო) სრულიად გაქრა. პოლიციამ მალევე დაადგინა ბანკომატი, რომლიდანაც თანხის გატანა ხდებოდა და ქართველი შემთხვევის ადგილზე დააკავა. სამართალდამცველები ეჭვობენ, რომ საქმეში შესაძლოა სხვა პირებიც ფიგურირებდნენ.




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 7 ნოემბერს